მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 15—16 | 1883—1899 | 1—30 აგვისტო

რა ლუპავს ჩვენს ხალხს, სხვათა შორის, ეკონომიურად?

ეკონომიურად მთელი ხალხის, რომელიმე საზოგადოების და კერძოდ თითო ოჯახის დამღუპველი მიზეზი მრავალ გვარია. ყველა მიზეზების გამოკვლევა ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანს. ზოგიერთი მიზეზები ჩვენგან სრულებით დამოუკიდებელია და რამდენიც უნდა ვეცადოთ, მათ თავიდამ ვერ ავიცილებთ; მაგრამ არიან ისეთი მიზეზები, ისეთი გარემოებანი, რომელთა თავიდამ აცილება ყველასთვის საადვილოა, ოღონდ კაცს ჰქონდეს ჰატარა მტკიცე ხასიათი და რიგიანი შეხედულება კაცის ცხოვრებაზე. ჩვენი ხალხის ეკონომიურად ერთ დამღუპველ მოვლენად, მიზეზად მიგვაჩნია სტუმრობა, ჩვენი ძველებური სტუმართ-მოყვარეობა და სტუმრობა დროების გასატარებლად. ამბობენ, რომ საქართველოს ხალხი საოცარი სტუმართ მოყვარე იყო და არისო. ამას დიდი დამტკიცება არ უნდა. მაგრამ, ვგონებ, არც იმას უნდა ბევრი დამტკიცება, რომ სტუმართ მოყვარება, დროების გატარება და ქეიფობა ღუპავდა ჩვენს ხალხს და ღუპავს მას დღესაც ეკონომიურად...

კაცი გვირგვინია ღვთის ყველა ქმნილებათა შორის, მაგრამ იმ დრომდის, რა დრომდი-

საც მას ღვთის ხატება და მსგავსება და სვინიდისი არ დაუკარგავს. თუ ღვთის ხატება და მსგავსება დაკარგა მან, და სვინიდისსაც მოკლებულია, მაშინ კაცი ეოველ ოთხფეს ცხოველზე უარესი და საძაგელია. უბრალო ცხოველი ბევრს ვერ გავნებს, გაფუჭებული კაცი კი თავისი მოქმედებით დიდ ვნებას მოგცემს. უბრალო ცხოველი შეგიძლია შებორკო და დაამწყვდიო, მაგრამ კაცს კი ვერაფრით ვერ შებორკავ და ვერ დაამწყვდევ. მაშასადამე როდესაც სვინიდისი ხალხში მდაბლდება და კუჭის მოთხოვნილება მეტის-მეტად ძლიერდება, მაშინ კაცს დიდი სიფრთხილე მართებს, რაც შეიძლება მოერიდოს მუქთა მჭამელთ, მოქეიფეთ და დროების გამტარებელთ და არა მკითხე მოლხინეთა.

იეი დრო, როცა მოქეიფეთ, მოლხინეთ და მუქთა მჭამელთათვის ბუნებისაგან ეველაფერი უხვად ჰქონდა მინიჭებული კაცს და სულ მცირე შრომით თავს მდიდრულად ირჩენდა. მაგრამ დღეს დროება შეიცვალა. ჩვენც უნდა შევცვალოთ დრო და დროის მოთხოვნილებისამებრ მოვიქცეთ, თორემ დავიღუპებით და სულ ამოვარდებით. საფრანგეთში, ინგლისში და სხვა უცხო ქვეყნებში ვისთანაც უნდა მიხვიდეთ სადილობის დროს, ასე შემოგითვლიან: მოიცადეთ, ან და ნასადილევს მოდითო. გერმანიაში, ავსტრიაში, და სადაც გინდა, ამასვე გეტყვიან, ეავის დალევის ანუ საუზმობის დროს რომ შეასწროთ. თუ ეს განათლებული ხალხი და ჩვენზე უფრო მდიდრები ამას ჩადიან, ჩვენ რაღა ვართ, რომ ასე თავმოხვევით ვიქცევით, ასე ბერდოვლათად ვფანტავთ ჩვენ ლუკმას და ქონებას?! წარმოიდგინეთ, ხშირად დიდ სადილებს ვუმართავთ ჩვენ მტრებსა და მოშურნეთაც... გახდება თუ არა ვინმე ავად, შეიქნება ერთი ნახვა და ერთი ამბავი. ავადმყოფის სანახავად მოდიან არა მარტო ეულითადი ნათესავები, არამედ უბრალო ნაცნობებიც. რისთვის? კუჭის გასამღობად და არა შესაწყენად. გული შეგტკივათ ავადმყოფისთვის? დაუქირავეთ ექიმი, შეეწიეთ წამალს, აღმოუჩინეთ საშუალება სნეულების განსაკურნებლად და აი ეს იქნება დახმარება, ნათესაობა და მეგობრობა. მიდისარ შენი დამშეული ცხენით და ორივეს გამღობა გინდათ და წამოსვლისას თუ უთხარით: „არა გიშავს რა, სნეულება გაივლის და მორჩები“-ო, ძლიერ დიდი საქმეა!.. თუ გარდაიცვალა ვინმე, მაშინ ხომ სულ იღუპება ოჯახი! გარდაცვალებულს მოაცდიან ერთი და სან ორი კვირა. ამ ორ კვირაში არის ერთი უშველებელი ხარჯი და ღვინის სმა, სტუმრები ჭირისუფალთ კიდეც ამადლიან, რომ არ მორდებიან გარდაცვალებულს თითო და ორ-ორ კვირაობით და ამ ნაირად თავს იკვებავენ.—არ შეიძლება, ბატონო, ამბობენ სტუმრები, ხალი დღის შემდეგ დამარხვა, რვა დღე მაინც უნდა დარჩეს გარდაცვალებული დუმარხავი. ვალდებულია ჭირისუფალნი ემსახურონ გარდაცვალებულის სულს და რაში მდგომარეობს ეს სულის სამსახური, ვკითხოთ ერთი ამ ბატონებს? იმათი აზრით სულის სამსახური მდგომარეობს იმაში, რომ იეიდონ ბრინჯი, მაკარონი, ნუში, ქიშმიში, ზეთი, ბევრი ღვინო, კარგი ჰური, კარგი თევზი ხშირად ხორცი და საკმაოდ გამღენ ეველანი. ეოველთვის ჭამაზე ერთი შესანდობელი დალიონ და ჰურზე სტაქანს თავი წაუქციონ. აი ეს არის მათის აზრით სულის სამსახური! წირვა, ლოცვა, ჰანაშვიდი რა საჭირო არის! თუ სურს, მღვდელმა თავისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიხადოს, როცა უნდა. მაგრამ თუ გამოტირილზე მღვდელი შესამოსლით თავს არ ადგია გარდაცვალებულს და, როცა მომტირალი მივა საზიზღარი და სასაცინო ჯუანვით და თვალთ მაქცური ტირილით, საცეცხლურით არ უკმია მას, შენი მტერია, მღვდელს საქმეს დამართებენ! საჩივარი ორი-სამი წავა მთავრობასთან. გათავდა ტირილი. გადაჯდებიან ცხენებზე, ჯორებზე და შინ წაბრძანდებიან ეს ჩვენი მომტირალნი. დარჩენ ჯირისუფალნი, მღვდლები და რამდენიმე კაცი. მამანო, ეუბნება ერთი ვინმე მღვდლებს, თქვენ შეასრულეთ თქვენი წესი, რაც იყოს, ჯირისუფალნი ცოტა ჰურს მიირთმევენ და წავასვენოთ ეკლესიზე გარდაცვალებული. მღვდლებიც ისე იქცევიან, როგორც უბრძანებენ!..

ნუ თუ დრო არ არის, გამოვფხიზლდეთ და სხვა ქრისტიანე ხალხს დავემსგავსოთ? მე აქ არ ვამბობ, რომ ტირილი მოისპოს, ვისაც ეტირება გარდაცვალებული, იმას არც ზარი უნდა და არც ქვითინი, ისე იტირებს. ნუ თუ არ მოიშლება ის მასხრული თვალთ-მაქცობით ტირილი, რომელიც სუფევს ჩვენს დასავლეთ საქართველოში? ნუ თუ ასე საძნელოა მოშლა ამ მავნებელი ჩვეულებისა, ჩვენებური გამოტირილისა და დამორჩილება იმ წეს-წეობილებისადმი, რომელსაც ჩვენ წინადაგვიდებს მართლმადიდებელი ეკლესია? ეს ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენი სამღვდელოება მოინდომებდეს და ერთად იმოქმედებდეს ეველგან. დღეს იმდენი სემინარიელებია მღვდლებათ, რომ სირცხვილიც იქნება, ამათ ხელშიაც დარჩნენ ეს სამარცხვინო და დამღუპველი ჩვეულებანი გარდაცვალებულის გამოტირილის შესახებ. სჯობს თვითონ ხალხმა მოშალოს ეს დამღუპველი ჩვეულება, თორემ ბოლო დროს გაჭირვება და გალატაკებაც მოაშლევინებს, მაგრამ ეს სამღვდელოების ზედ გავლენის მიზეზი არ იქნება, არამედ—გაჭირვებიხ, რომელიც ძლიერ სამნელოდ დაურჩება საზოგადოებას.

ეოველთვის ხომ არ შეხვდებათ ამ ჩვენ არა-მკითხე მოქეიფეთა ტირილებზე სიარული და ავადმეოფების სანახავად წასვლა. შეიერიან თავს და სან ერთს კაცს აირჩევენ და ხან მეორეს და მიადგებიან კარს იმისთანა დროს, როცა მასპინძელს არც დრო აქვს ქეიფობისა ტ არც სასმელ-საჭმელი აქვს მზად. საცოდავი მასპინძელი ხალისით ეგებება სტუმრებს, მაგრამ გულში სწეევლის და კრულავს როგორც მათ, ისე მთელს მათ ოჯახობას...

როგორ უთხრა ეარი, იტეევიან ზოგიერთები, კაცი მოდის შენთან სწორეთ საჭმელად და დროების გასატარებლად, როცა შენ სრულებით არ ხარ მომზადებული და არც მოცლა გაქვს დროს გასატარებლად? ადვილად შეგიძლია, თუ ჰატარა ხასიათის სიმტკიცე გაქვს და თვითონ შენც ხელს არ შეუწეობ ამისთანა ბერდოლათობას. თუ კაცი მოდის შენთან საჭმლისათვის, მიუტანე იმდენი, რამდენიც საჭიროა მისი სიცოცხლისათვის, თუ სხვებრ არ შეიძლება მისი მოშორება; როცა სამი და ოთხი სტაქანი შედგას საინზე და გითხრას: ან დალიე და ან გარეთ გადიო, მაშინ აღიმაღლე ხმა და ღვინის მაგიერ წყლით გაუმსე სტაქნები და უთხარი, რომ ან დალიოს და ან გარეთ გავიდეს და სხვა ამისთანები. დარწმუნდით, რომ თავიდან მოიშორებ არამკითხე მოლხი-

ნეს და შენი ქონება შეგრჩება შავი დღისათვის.

ვისაც გული შესტკივა ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის, დარწმუნებული ვარ, ის ეოველ ღონეს იხმარს, არ დაზოგავს სიტყვა-პასუხს და ჩვენ ხალხში გაავრცელებს იმ აზრს, რომ ძველებური ჩვენი დამღუპველი სტუმართ-მოყვარეობა და მასპინძლობა მოსპოს, ან შეასუსტოს და ამით ჩვენი ხალხი დაიხსნას ერთი იმ უბედურ ჩვეულებისაგან, რომლის წყალობითაც ეგი (ხალხი) ღარიბდება და ღატაკდება...

დეკ. დ. დამბაშიძე.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების საგანგებო კრება ქ. ქუთაისში მაისის 31 ს ივნისის 1 ს 2 რიცხვებში

დასასრული *).

ოველი კრება და ამ კრებისაგან ჟურნალური დადგენილება კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი კრების ორი წილი მაინც იღებს მონაწილეობას მსჯელობაში და საქმის გადაწყვეტილებაში. როცა კრების თავმჯდომარემ უკანონო წინადადება მისცა კომიტეტის დათხოვნაზე, მაშინ ბევრმა დეპუტატმა თავი დაანება კრებას და ხელიც არ მოაწერეს ჟურნალს. ჟურნალი ხელ მოწერილია მხოლოდ 26 დეპუტატისაგან, რომელი რიცხვიც არ შეადგენს ორ მესამედს მთელი დეპუტატების რიცხვისას. ეს უკანასკნელი გარემოება საყურადღებოა. ჟურნალი, არა ხელმოწერილი ორი წილი დეპუტატისაგან უკანონოა და მისი დამტკიცება არ შეიძლება უწ. სინოდის განჩინებისამებრ.

უკანასკნელი კრების 26 დეპუტატი, დაახლოვებულნი ერთი მეორესთან ნათესაობითი კავშირით, ირჩევენ სანთლის ქარხნის გამგე კომიტეტის წევრებად: თავმჯდომარედ დეკ. ი. ჭეიშვილს, ხაზინადრად მაზრის მეთვალყურეს მღვდელს ტიმოთე კაპანაძეს და საქმის მწარმოებლად სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ანთიმოზ გორგაძეს. კრებას უნდა ცოდნოდა ამ პირთა ვინაობა, ამისათვის ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ამ პირების ვინაობა და ისიც, რომ სანთლის ქარხნის გამგეებად შეუძლებელია მათი არჩევა. აი საფუძველიც, რომელზედაც ვამყარებთ ჩვენ ამ ჩვენს აზრს:

დეკ. იოსებ ჭეიშვილი დანიშნული იყო მმართველად სანთლის ქარხანაში განსვენებული იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის მიერ, მაგრამ იგი მალე დათხოვნილ იქმნა. სანთლის ქარხნას მისი გამგეობის დროს არასოდეს სამღვდელოებისათვის სანთლის ქარხნის ანგარიში არ გამოუცხადებია. ჩვენ სამწუხაროდ ხელთ არა გვაქვს იმ საქმის პირი, რომელიც ეპარქიის კანცელარიაში იმექონება, თორემ ბევრს რამეს მოუთხრობდით მკითხველებს მის დროს სანთლის ქარხნის მართვა-გამგეობის შესახებ...

მღვ. ტიმოთე კაპანაძეს როგორც მაზრის მეთვალყურეს, თანახმად უწმ. სინოდის განჩინებისა, არავითარი თანამდებობის მიღება არ შეუძლია. მეთვალყურენი, როგორც უწმ. სინოდის განჩინება ბრძანებს, თავისუფალნი უნდა იყვნენ მრევლთაგანაც, მაგრამ ვინაიდგან ჩვენში დიდი ჯამაგირი არ აქვსთ მაზრის მეთვალყურეთა, კანონმა დროებითად მიანიჭა მათ ეს უფლება, რომ ორ-შტატიან ეკკლესიებში ერთი შტატი მათ მიეცესთ, რომ მისმა ამხანაგმა შეასრულოს ხოლმე მღვდელ-მოქმედება, როცა მეთვალყურე სოფელში იქნება წასული შკოლების დასათვალიერებლად. მართალია, მღ. ტიმოთე კაპანაძე ფულის გულისათვის ორ-სამ სხვა თანამდებობასაც მიიღებს, მაგრამ არ გვჯერა, რომ უწმ. სინოდის განჩინებას ყურადღება არ მიაქციონ და მეთვალყურეებს იმერეთის ეპარქიაში მიენიჭოს ისეთი უფლებები, რომელიც მთელს რუსეთის იმპერიაში არავის არა აქვს მინიჭებული...

მღვ. ტიმოთე კაპანაძეს 1895 წლიდან მართებს სანთლის ქარხნის ფული და აი აგერ მეხუთე წელიწადია ს სრულებით არ ფიქრობს ეს ფული დაუბრუნოს სანთლის ქარხანას. რა ზრუნვა უნდა გამოიჩინოს სანთლის ქარხანაზე იმისთანა პირმა, რომელსაც

*) იხ. „მწყემსი“ № 14, 1899 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ვალი არ გადაუხდია ამდენი ხანი, თუმცა შეძლება კი ჰქონდა, რომ ეს ვალი მოეშორებია მას!..

რაიცა შეეხება მესამე წევრს სასულ. სასწავლ. მასწავლ. ანთიმოზ გორგაძეს, იმის ზნეობის წინააღმდეგ სათქმელი ჩვენ არაფერი არა გვაქვს. ანთ. გორგაძე იყო 1896 წ. აღრჩეული წევრად, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ ითხოვა, რომ დროის უმეჭონებლობისა და სხეულის სისუსტისა გამო არ ძალუძს სამსახური და თავის თხოვნით თავი დაანება. ჩვენ ვერ გაგვიგია, რამ აიძულა იგი დღეს, რომ ხელახლა სურვობს იმ თანამდებობას, როცა მას არც ტანის სიმრთელე მომატებია და არც გაკვეთილები მოკლებია!..

ამასთან საჭიროდ ვრაცხ მკითხველის ყურადღება მივაქცეო ერთ გარემოებაზე. სანთლის ქარხნის წარმოების საქმეში სხვა-და-სხვა ბოროტებათა განრინებისათვის დეკ. დ. ღამბაშიძემ მისცა წინადადება სამღვდელოების კრებას 1895 წელში. ეს წინადადება იმაში მდგომარეობდა, რომ სანთლის ქარხნის მწარმოებელნი და გამგე პირნი ვალდებულნი ყოფილიყვნენ ყოველივე ზარალი სანთლის ქარხნისა თავისი ქონებით ეზღოთ. მათაც ამნაირივე პირობა მოსთხოვეს თავის დროზე. გასაოცარია, რომ სამღვდელოების უკანასკნელ კრებამ საჭიროდ არ დაინახა ამ გვარივე პირობის მოთხოვნა ახალი კამიტეტის თავმჯდომარის და ორი წევრისაგან. სწორეთ კრების ამ საქციელში ვხედავთ ჩვენ დეპუტატების მიდგომით მოქმედებას და საზოგადო საქმეზე მათ უჯერო შეხედულობას.

მოკლე და ცხადი ანგარიში სანთლის ქარხნის მდგომარეობისა:

1896 წლის დამდეგს ღამბაშიძის თავმჯდომარეობით კომიტეტმა ჩაიბარა ფულად 2500 მანეთამდე, ქარხნის ვალების და ძველი ხარჯების გამორიცხვით. დღეს სანთლის ქარხანა წინანდელზე უკეთესად არის მოწყობილი: ნაღდად ფული იმეჭონება 2300 მანეთი, გავასხებული ფული ძველის დროიდამ 1738 მან., სასწავლებლების სასარგებლოდ და საეკლესიო ხაზინის შესავსებლად დღესვე შეტანილი არის 3300 მან. დამზადებულია სანთელი 2400 მანეთისა, სანთლის ცვილი და სხვა მასალა იმეჭონება 2880 მანეთისა. ეს მოკლე ანგარიში ცხადად ამტკიცებს ყოფილი კომიტეტის გამჭრიახობას და სამღვდელოების ამ უკანასკნელი კრების 26 დეპუტატის საქმის უვიცობას, გაუგებრობას. ვნახოთ ეხლა რა იქნება შემდეგში.

მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ სამღვდელოების კრების კურნალზე დეკ. დ. ღამბაშიძის გრძელი პასუხის მიღების შემდეგ კეთილ ინება შემდეგი რეზოლიუციის დასმა:

„1899 წ. 10 ივლისს ეხლანდელი კამიტეტი ითვლებოდეს დათხოვნილად, თანახმად მათი თხოვნისა და სურვილისა, რომელმა კომიტეტმაც ეხლავე ჩააბაროს სანთლის ზავოდი თავის ქონებით. ნაცვლად „ნაბლიუდატელის“ კაპანაძისა, რომელსაც სოფლებში ხშირი სიარულისა გამო, მოცლა არა აქვს სანთლის საქმისათვის, ვნიშნავ ბლაღოჩინს ივლიანე აბესაძეს, აგრეთვე ვნიშნავ დეკანოზს იოსებ ჭეიშვილს და მღვდელს ირაკლი ბაკურაძეს მხოლოდ ამავე წლის სამღვდელოების კრებამდე. შემდეგში დატოვება მათი კი დამოკიდებულია, თუ რამდენად ერთგულად და შეუცდომლად წაიყვანებენ საქმეს და თუ მათ ისურვებს სამღვდელოების კრება“.

დამსწრე.

ჩემი თავ-გადასავალი.

გაგრძელება*)

ამი წლიდგან მოკიდებული ექვს წლამდე ისე არავისთან ვიყავი შეტკბობილი და ისე არავისკენ არ მიიზიდებოდა ჩემი გული და გონება, როგორც განსვენებულ ბებია ჩემისაკენ. ის იყო ჩემი მასწავლებელი პირველ ხანებში, განსაკუთრებით იგი შესანიშნავი მასწავლებელი იყო საღმრთო სჯულისა. ყოველი ჩემი ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ბებიას მივაშურებდი. ის ისე

*) იხ. «მწყემსი», № 12, 1899 წ.

ისენაირად მიმიღებდა და გულდასმით დამიწყებდა ახსნას და განმარტებას ყველა ჩემთვის საინტერესო საგნების და კითხვებისას, რომ დღეს ის დრო ისე წარმომიდგება გონებაში, თუკინდ გუშინ ყოფილიყოს ეს შემთხვევა. მოვიყვან ბებია ჩემის საუბრებს.

—ბებია, რა არის ღმერთი? ვკითხე მე.

—ღმერთი არის იმისთანა ვინმე, რომლისაგანაც ყოველიფერი, რასაც ვხედავთ და რასაც ვერ ვხედავთ, შექმნილია. ის ასაზრდოებს ყველას და ის გვაძლევს ყველაფერს. რომ ის არ გვაძლევდეს ყველაფერს, ხალხი სულ შიმშილით დაიხოცებოდა. მაგრამ, ვენაცვალე მას, მისი სახელის ჭირიმე, ყოველიფერს ის გვაძლევს. ის რომ არ მიეშველოს, როცა ავად გახდება კაცი, იგი არ მორჩებოდა; მაგრამ ღმერთი მოარჩენს ავადმყოფს და თუ არ სურს, რომ მორჩეს, მაშინ იგი უთუოდ მოკვდება.

—სად არის, ბებია, ღმერთი?

—ღმერთი, შვილო, ყველგან არის, ცაშიც, მიწაზეც და ჰაერშიაც, ჩვენ ვერ დავინახავთ მას იმისთვის, რომ ხორცი არა აქვს. შენ ხომ შეგინიშნავს, ქარი როგორ დარბის და როგორ წაიქცევს კაცს, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ მას. ასე ვერ ვხედავთ ღმერთსაც.

—ხატები რაღა არის, ეკლესიაში რომ არიან და ვინ არიან იგინი?

—ისინი არიან ღმერთის კაცები, წმინდანები, მაგალითებრ, ჩვენს ეკლესიაში რომ წმიდა გიორგია, ის ღვთის კაცი იყო, მისი მოსამსახურე და რა სასწაულებიც ქმნა, ის არის ზედ დახატული. იმას რასაც ვსთხოვთ, ის ღმერთს სთხოვს და აგვისრულებს თხოვნას. ავად ვინც გახდება და შეეხვეწება, მას მორჩენას მაშინ ის ღმერთს სთხოვს და ავადმყოფი მორჩება. თუ რამე ცუდი საქმე ჩაიდინა ბავშმა, ან დიდმა კაცმა, იმას ღმერთი მაშინათვე დაინახავს, ღმერთის თვალი ისეთი დიდია, რომ ჩვენ ქვეყანაზე მეტია და ყველაფერს შეიტყობს და გაიგებს. ამისათვის არც ცუდი უნდა თქვა რამე და არც ცუდი რამ ჩაიდინო.

—რას ჭამენ, ბებია, ხატები?

—ხატებს საჭმელი როდი უნდა, ისინი პურსა და მჭადს კი არ სჭამენ ისე, როგორც ჩვენ. იმათი საჭმელი საკმეველი და სანთელია. ხომ დაგინახავს შენ, ხატებს რომ წინ სანთლებს უნთებენ. აი იმათ ის იამებათ და იმის მეტი არა უნდათ რა. ყველამ თავის ხელით უნდა ჩამოქნას სანთელი და ვინც თავის სიგრძე სანთელს მიართმევს ხატს, ის უფრო კარგია.

—მე საიდან შევიძლებ სანთლის ჩამოქნას?

—ეს არაფერია. შენ თუ სანთლის ჩამოქნა არ შეგიძლია, სანთლის გულს, პატრუქს დამიკავებ და ერთი და იგივეა, თუ გინდ შენ ჩამოგექნას.

—შენ ღამე გეშინია, მითხრა ბებია ჩემმა, რად გეშინია და რისი გეშინია ღამე?

—არც მე ვიცი, ამბობენ, მავნე დადის ღამეო და მისი მეშინია.

—მავნის როგორ გეშინია, პირზე რომ ჯვარი გამოისახო, ათასი მამნე რომ დაგხვდეს, ერთი ვერ გაჩერდება, სულ გაიქცევიან. წმიდა გიორგის სახელი თუ ახსენე, მაშინ სულ დაიკარგებიან, ისე ეშინია მამნეს წმიდა გიორგის სახელის.

—რა არის მამნე, ბებია?

—მამნე, შვილო, ეშმაკია, მაგრამ ის კაცს ვერ მიეკარება, რადგან ქრისტიან კაცს ან ჯვარი ჰკიდია გულზე და ან წმიდა გიორგის სახელს ახსენებს და სულ გაქრება იგი.

რამდენ ადგილას დავუხსნივარ შიშის განსაცდელს ხან ბნელში, ხან დღეც ჭექა-ქუხილის დროს და ვინ მოსთვლის რამდენ განსაცდელში. ბავშებს, ხომ მოგეხსენებათ, ეშინიათ ღამე გარეთ გასვლის, მაგრამ მე შიში აღარ მქონდა ამ დარიგების შემდეგ. წინეთ ხშირად შიშისაგან ენა დამკავებია, მაგრამ შემდეგში კი ჩემთვის საკმაო იყო მეთქვა: სამს სამოცდა ხუთო წმიდა გიორგი, საკვირველდ-მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედო, შენ მიშველე და დამიფარე მამნესაგან". ამ სიტყვების შემდეგ აღარც შიში იყო და აღარც ენის დაკავება.

საღმრთო სჯულის სწავლებას გარდა ბებია ჩემი საკვირველი დამრიგებელი იყო ყოველთვის. როცა საზიარებლად მოვემზადებოდით, ის გამზადილი იყო დასარიგებლად, თუ რა მოწიწებით და სიხარულით უნდა მიგველო ზიარება. ზიარების მიღება ჩვენთვის შეადგენდა ისეთ შესანიშნავ და სასიხარულო დროს, როგორც აღდგომა და სხვა დიდი დღესასწაულები.

მე მეტის მეტად მიყვარდა ფიშტო და თოფის წამალი. როცა მოვიდოდა ვინმე ფიშტო ან თოფიანი, მე მაშინვე ამ იარაღს მივახტებოდი და დავუწყებდი ჩახმახს თამაშობას. რასაკვირველია, როცა ეს იარაღი გატენილი არ იყო, ბებია ჩემი დამიწყებდა დარიგებას და მიშლიდა იარაღის ხელით შეხებას.

— რატომ არ შეიძლება ჩახმახის თამაშობა, ან პატარა სათოფელას ხმარება?

—იმიტომ არ შეიძლება, შვილო, რომ თოფი ცარიელიც, გაუტენელიც რომ იყოს, მაინც კაცისკენ არ უნდა გაიშვირო. ამისათვის რომ თოფის ლულაში ჩაძვრება ეშმაკი, იქცევა წამლად და გავარდება ჩახმახის დაცემაზე და კაცს შემოგაკლავს ხელში. ის კაცის მტერია და ყოველივე ღონეს ხმაროს, რომ ცუდი რამე შეამთხვიოს კაცს. არც დანა, არც სატევარი არ უნდა მიულირო კაცს, ან ბავშს. აქაც ეშმაკი გაჩნდება და ხელს გაქნევინებს კაცისკენ და მოგაკვლევინებს. ასე გაფრთხილებული უნდა იყო იარაღების ხმარებაზე, თუ გინდა, რომ კარგი კაცი გამოხვიდე და ყველასთვის საყვარელი შეიქნე.

მწარე ფიქრები.

კითხველო, ნუ თუ არ დაგინახავს, ბავშები, ჯოხის ცხენებზე შემჯდარნი და მოჯირითენი? როგორ გაცხარებით აჭენებენ ჯოხებს და ხანდის-ხან მათრახს ან წკიპარტსაც გადაკვრენ ხოლმე უკან და ვითომ მათრახის გადაკვრით ჯოხის ცხენები ცხარდებიან და უმეტესად მიაჭენებენ. ჰო, რა არის ბავშობა. ისინი სხვასაც ატყუებენ და თვითონაც მოტყუებულნი რჩებიან, მაგრამ მაინც დიდათ სიამოვნებენ! სწორეთ ამისთანა ჯოხის ცხენზე მოჯირითე ბავში მომაგონა ჟურნალის „მოამბის" მე-VI №-ის შინაური მიმოხილვის ავტორმა, რომელიც იმერეთის სამღვდელოების უკანასკნელი კრებისა გამო აი რას სწერს:

ამ დროს, როცა ქუთაისის ბანკის კრებაზე ასეთი ხმაურობა და აყალ-მაყალი იყო, ქუთაისშივე მობრძანდა საზოგადოებისათვის თითქმის შეუჩნეველად, წყნარად და მშვიდობიანად მეორე კრება—იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა საგანგებო კრება. ამ კრებაზე სამღვდელოებს ორი თვალ-საჩინო საქმე გადაუწყვეტია: 1) იმერეთის სამ-კლასიანი გაბრიელის სახელობის საეპარქიო ქალების სასწავლებელი გარდაქმნილ იქმნას ექვს-კლასიანად და 2) რადგან სანთლის ვაჭრობის საქმეში უწეს-რიგობა აღმოჩენილა, ჩამოერთვას ეს საქმე დეკანოზს დ. დამბაშიძეს და გადაეცეს იგი ახლად ამორჩეულ კომიტეტს.

„მოამბის" შინაური მიმოხილვის ავტორს სრულებით არა გაუგია-რა იმერეთის სამღვდელოების კრების მოქმედებისა. მას წაუკითხავს „ივერიაში" ვილაცა ერთი კორრესპონდენტის დაჯღაბნილი სტატია ვითომ და სანთლის ქარხანაში რაღაც უწეს-რიგობის აღმოჩენის შესახებ და ესეც ამას გაიძახის ისე, როგორც ჭური, რომელსაც რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. სანთლის ქარხანაში არავითარი უწეს-რიგობა არ ყოფილა. ეს მტკიცდება მით, რომ დეკ. დ. ლამბაშიძის ხელში სანთლის ქარხნის შემოსავალმა ორასი თუმანი მოიმატა. უწეს-რიგობა იყო წინეთ, როცა არც შემოსავალი იყო ამდენი და ფულებიც ბევრი გაიფლანგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სამღვდელოებას სანთლის ქარხნის შესახებ სამუდამო ტრიგიანი გარდაწყვეტილება არა დაუდგენია-რა, ეს იქიდგან სჩანს, რომ კრების ჟურნალი ამ საგნის შესახებ არ არის დამტკიცებული და ისევ შემდეგ კრებას აქვს მინდობილი განსახილველად. ასე გახლავსთ საქმე, მაგრამ „მოამბის“ შინაური მიმოხილვის ავტორი ცხენის ჯოხზე შემჯდარა და მიაჭენებს, და ჰგონია, რომ რაშზე ჯდის და ასე თვითონაც სტყუვდება და სხვასაც ატყუებს!..

სხვა შესამჩნევი საქმე მაინც და მაინც სამღვდელოების კრებას არა ჩაუდენია რა. ექვს-კლასიანად გადაკეთება ქალების სასწავლებლისა სამღვდელოების კრებამდის სინოდისაგან იყო გადაწყვეტილი. რაიცა შეეხება ფულების შეკრებას ხარჯის დასაფარავად სამღვდელოებას თავისი არაფერი არ გამოუღია, მხოლოდ გადასწყვიტეს შეძლებულ ეკკლესიებზე ორასი თუმანის გაწერა და ათასი მანეთიც სანთლის ქარხნიდან.

*
* *

დიდი ნდობა ჰქონდა და აქვს კიდევ ბეჭვდითი სიტყვას ჩვენ ხალხში. ვერ დააჯერებთ სოფლის ხალხს, რომ დაბეჭდილი რამ ტყუვილი იყოს. მაგრამ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების გამომცემლების წყალობით ეს რწმენა თან-და-თან უსუსტდება ხალხს. ზოგიერთი დაბეჭდილი ამბები მაინც არა თუ უნებლიეთი შეცდომაა, არამედ განგებ ბოროტ განზრახულებით არიან მოგონილნი. ამას წინად ერთი გამოცემა მკითხველ საზოგადოებას უმტკიცებდა, რომ გურიასამეგრელოის ეპარქიის კათედრა ოზურგეთში გადაიტანა უწმიდესმა სინოდმაო!.. ჩვენ ძლიერ გვიკვირს, რომ ჟურნალ-გაზეთების გამომცემლები ამისთანა აშკარა ცრუ ამბებს ბეჭდავენ. ზოგიერთი გამოცემა მასალის უმექონებლობისა გამო ხშირად ცრუ ამბებს ადგენს და ბეჭდავს და ამისთანა ცრუ ამბებით ართობენ თავიანთ მკითხველებს!

იქონიეთ იმოდენი სვინიდისი, რომ ნუ ამოფხვრით ხალხის გულში ბეჭვდითი სიტყვისადმი ყოველ რწმენას და ნუ ნერგავთ ხალხის სულში დაუნდობლობას უმნიშვნელო, უაზრო და ცრუ ამბების წერით.

*
* *

დადგა დრო, დრო სიხარულისა და სიმწუხარისა, როგორც მშობელთათვის, ისე სასწავლებლებში ახლად მისაღებ ყმაწვილთათვის. ისეთ სასწავლებელს ვერ ნახავთ, რომ მასში ყველა მსურველთათვის თავისუფალი ადგილი იყოს. სასწავლებელში იმექონება თავისუფალი ადგილი 30 ან 50, მთხოვნელთა რიცხვი ასი და ორასია. ვინაიდგან ყოველ სასწავლებელში თავისუფალი ადგილი ცოტაა და მთხოვნელი კი ბევრი, ამიტომ სასწავლებლიდან მიცემულ მოწმობებს, რომ ყმაწვილი გამოუცდელათ მიიღონ მეორე სასწავლებელში, მნიშვნელობა აღარ აქვსთ. ერთი სიტყვით, ერთ ადგილს მოხდენილ გამოცდას მეორე სასწავლებელში შესვლისათვის დაკარგული აქვს მნიშვნელობა. ბევრი დიდ ფულს ხარჯავს, რომ შვილი მოამზადოს პირველი, მეორე, მესამე და შემდეგ კლასებში მისაცემად, ვინაიდგან დასაწყის კლასებში ყოველთვის ნაკლებად არის თავისუფალი ადგილი.

რამდენი სამდურავი და წყევლა-კრულვა ისმის მშობლებისაგან და მათი პატარა შვილებისაგან, რომელნიც სასწავლებლებში მიუღებელი რჩებიან უადგილობისა გამო. ეს გულდაწყვეტილნი მშობლები სასწავლებლების მეუფროსეთ და მასწავლებელთ ემდურიან და ის კი არ იციან, რომ თვითონ ეს მშობლები არიან დამნაშავენი ამ საქმეში. დღემდის ვერ მივმხვდარვართ, რომ დრო შეიცვალა და თუ ჩვენვე არ ვიზრუნეთ სასწავლებლების რიცხვის მომატებაზე, დღეს არსებული სასწავლებლები ვერ შეძლებენ ყველა მსურველთა დაკმაყოფილებას და ჩვენი მშობლების და მათი პატარა შვილების ტირილს და ვაებას დასასრული არ ექნება.

სოფლის მღვდელი.

„ხუცური“ თუ „მხედრული?“

ეუ არ ვცდებით, მას შემდეგ, რაც წასული წლის „მწყემსი“-ს №22-ში ბ. ნადირკველის „ღია წერილი“ დაიბეჭდა „ხუცურისა“ და „მხედრულის“ შესახებ, აგერ ნახევარ წელზე მეტი გადის და იქ იმ წერილში დასმულ კითხვების გამო კი ჩვენს ლიტერატურაში ორ-სამ პირს გარდა*) კენტი სიტყვაც არავის წარმოუთქვამს.

ნუ თუ ეს საკითხი ისე დაბალ ხარისხოვანია, რომ ყურადღების მიქცევათაც არა ღირს? ნუ თუ იგი არავისთვის საინტერესო არაა?...

სამწუხაროთ უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს მართლაც ასე ყოფილა: აღნიშნული კითხვა არამც თუ საერო წოდების ქართველს არ აინტერესებს (ეს ჩვენ, სხვათა-შორის, იქიდანაც დავინახეთ, რომ ბ. ნადიკვრელის „ღია-წერილის“ ბოლოში მოთავსებული თხოვნა საერო გამოცემებში მისი გადაბეჭვდის შესახებ, თუ არ ვცდებით, არც ერთს რედაქციას არ შეუწყნარებია. რისთვის?...),—ასე გაშინჯეთ, სასულიერო წოდებაშიაც-კი მას ძალიან ცოტა გულშემატკივარი აღმოუჩნდა: მ. დეკანოზი დ. ღამბაშიძე, დ. კაჭახიძე და „აფხაზელი მღვდელი“. და, როგორც პატივცემულ მკითხველს ეხსომება, ამათი აზრებიც იმდენად განირჩევიან ერთმანეთისაგან, იმდენად დაშორებული არიან ერთი-მეორეს, რომ გარეშე მკითხველს გზა და კვალი ებნევა, აღარ იცის, რომელ ერთს დაუჯეროს, რა გზას დაადგეს? ცალკ-ცალკე თითქოს სამ-თავეს აზრი საკმაოთ დასაბუთებულია; ერთმანეთთან შედარებით კი...

მაგრამ ჩვენ აქ ამ მოწინააღმდეგე აზრების შესადარებლათ კი არ გამოვსულვართ, ის კი არ გვინდა მკითხველს დავანახვოთ, თუ ამ აზრებში რომელი რომელს ჯობია, რომელი რომელს მოერევა... ჩვენ გვსურს გავითვალისწინოთ ის, თუ ამ აზრთაგან რომელი უფრო შეესაბამება თანამედროვე პირობებს ჩვენი საეკლესიო და საზოგადოებრივ ცხოვრებისას, რადგან დარ;მუნებული ვართ, და ამაში მკითხველიც დაგვეთანხმება, რომ ყოველი კითხვა, ცხოვრებისაგან წამოყენებული, თუ შესაძლოა, ამავე ცხოვრების შესაფერათ უნდა იქნეს აღხსნილი და გადაწყვეტილი და არა რაიმე განყენებულ მოსაზრებათა და ისიც სუსტი ღირსების მოსაზრებათა მიხედვით.

მაშ ჩავხედოთ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას, მივიღოთ მხედველობაში, ერთი მხრით, თვით ხალხის—სამწყსოს სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი და, მეორე მხრით, ახალ-გაზდა სამღვდელოების და სამღვდელო ხარისხის კანდიდატთა მდგომარეობა.

რას ვხედავთ აქ?

ნახევრათ გონებრივ სიბნელეში ჩაფლული, თანამედროვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ, ისე როგორც საოჯახო მოთხოვნილებათა სიმძიმით წელში გახრილი ან, ხშირათ, მძლავრთა ძალადობით უსამართლოთ შეურაცხყოფილი და დაჩაგრული შრომის შვილი, საწყალი მუშა-კაცი,-ან, კიდევ, შვილი სიმდიდრისა და ნივთიერი კმაყოფილებისა, იმავე ცხოვრების დაუნდობელ ტალღებით მოქანცულ-მოღალული და შეშფოთებული, ასე როგორც ბედისაგან გალაღებული, მაგრამ რაიმე დანაშაულის ჩამდენი და სინდისით დატანჯული არსება,—ყველა ესენი და ბევრი მათი მზგავსი, ცხოვრებისაგან რამენაირათ შელახულ-შესუსხულნი და ამწვავებულნი, მოდიან ეკკლესიაში, აშურებენ ამ ნავთსაყუდელს ყველა სულით ღელვილთა და ტვირთ მძიმეთა,*) ისწრაფიან აქეთკენ, რასაკვირველია, არა მხოლოთ იმ განზრახვით, რომ აქ თავის თანამოძმენი და მეზობელ-ნათესავები ინახულონ, ან-და, როგორც ჩვენში იტყვიან, „თვალს წყალი დაალევიონ;“ არამედ, უეჭველია, განსაკუთრებით, ხანში შესულები უფრო ხშირათ აქ იმ მიზნით მოდიან, რომ თავის აღშფოთებულ სულს მშვიდობა მოუპოვონ: საეკკლესიო გალობის მოსმენით და, კერძოთ, საღმრთო და საეკკლესიო წიგნთა თავისებურ-ხარაქტერულის კითხვით (რომლის, ხშირათ, მარტო კიდეც კი შეჩვეულ ყურს რაღაც სასიამოვნოდ ხვდება და მორწმუნე გულს სანეტაროთ

*) იხ. „მწყემსი“ 1898 წ. №№ 23—24 და 1899 წ. № 3, დეკ. დ. ღამბაშიძისა და კაჭახიძის წერილები; „ივერია“ 1899 წ. №№ 104 და 105, «აფხაზელი მღვდლის» წერილი.

*) მოიგონეთ პოეტის მშვენიერი სიტყვები:

„აღარას დარდობს მშიშარა ბავშ-,
თუ დედის კალთას შეასწრო თავი...
ხალხიც ბავშია, და დედის კალთა,
—მისი საყდარი და სალოცავი.“

ატოკებს) და ამ კითხვაში აქა იქ მკითხველის მიერ ხმა ამაღლებით და მკაფიოთ წარმოთქმულ რაიმე მხრით საინტერესო სიტყვების გაგონებით ფიქრს საზრდო მოუპოვონ და ვნებათა ღელვა დაიამონ; სულიერ მოძღვრისაგან საამო და მათი სულის მდგომარეობის შესაფერი სიტყვა გაიგონონ, სიტყვა ნუგეშისა და გამხნევებისა, სიტყვა შენდობისა და სასოებისა. აი, სწორეთ ამისთანა იმედებით და მისწრაფებით გამსჭვალული მოდის ეკკლესიაში ბევრი ჩვენი კაცი; მზგავსივე გრძნობებით ღელვილი აშურებს იგი მღვდლისაკენ, როცა მას უბედურება ან ბედნიერება რამ ეწვევა: მის ოჯახს შვილი შეეძინება, ან ვინმე საიმედო წევრი გამოაკლდება, თუ ავათ გაუხდება და სხვ...—ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ამ იმედებით გამსჭვალულ მორწმუნე ქართველს, როცა იგი ეკკლესიაში მოდის, აქ, ნაცვლად ტკბილ და მკაფიო კითხვისა, რაღაც გაუგებარი ბლუკუნი ესმის, სანეტარო გრძნობების ამშლელ და მოსხლეტილ კილოს ნაცვლათ, წარა-მარა ენის ბორძიკი, ხმის შეწყვეტა და ასოების „ჟიტვნა“ გულს უმღვრევს და სასოებას უკარგავს. შეწუხებულ სულს კიდევ უფრო უწუხებს და სარწმუნოებას ულახავს და სხვ. ყველა ამას დაურთეთ თვითონ მღვდლის მიერ მეხანიკური და უსულგულო კითხვა სახარებისა, ისე როგორც სხვა-და-სხვა სამღვდელ-მოქმედო წესების შესრულების დროს საეკკლესიო წიგნების შეუფერებელი ხმარება (რაც ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით ახალ-გაზდა სამღვდელოებაში, იშვიათ მოვლენას აღარ შეადგენს, —ამის მიზეზს ჩვენ ახლავე დავასახელებთ...), და ადვილათ მივხვდებით, თუ რა შთაბეჭდილებით გარემოცული უნდა რჩებოდეს საღმრთო ვედრების შემდეგ ამ გვარი მოვლენით გულ-მოშხამული და ზნეობრივათ შეურაცხყოფილი მსმენელი...

თუ ძველ დროში და „ძველი“ სამღვდელოების ხელში ამ გვარი შემთხვევები იშვიათი იყო (ბევრი რომ, მართლაც ასე გვარწმუნებს), დღეს იგინი ჩვეულებრივ მოვლენათ გამხდარან. მართალია პატივცემული მ. დეკანოზი ბრძანებს: „თუ სასულიერო წოდებას ვიგულისხმებთ, მას ხომ სრულებითაც არ უჭირს ხუცური კითხვაო“, *) მაგრამ ვინ არ იცის, რომ სიტყვა „სასულიერო წოდება“ განყენებული შეკრებილობითი სახელია, რომლის კონკრეტულ შინაარსს დღეს ჩვენში ძალიან აჭრელებული, სხვა-და-სხვა გონებრივ განვითარების და ზნეობრივ ხალისის კაცთა კრება შეადგენს. მაშასადამე ის, რაც ამ კრების ერთ ნაწილზე შეიძლება ითქვას, არ შეიძლება იგივე უცვლელათ მიეწეროს მის მეორე ნაწილსაც. სახელდობრ, თუ შეგვიძლია ჩვენი სამღვდელოების ერთს, უკვე ხნიერსა და საკმაოთ გამოცდილს ნაწილს „ხუცურის“ კარგი მცოდნე ვუწოდოთ (თუმცა ერთმა გუშინწინდელმა შემთხვევამ (სამღვდელო პირის წესის აგებამ) რომლის მოწამეც ჩვენ გახლდით, ნათლათ დაგვანახვა, რომ სწორეთ ის „ძველი“ „ხანში შესული“ მღვდლები უფროც სუსტობდენ როგორც „ხუცურის“ კითხვაში, ისე ტიბიკონის ცოდნაშიაც, ვინემ იქვე, მათ გვერდში მდგომი ახალ-გაზდა სამღვდელოება); განა შეიძლება ეგევე სახელი დავარქვათ მის მეორე ნაწილს-ახალგაზდა სამღვდელოებას, რომელიც ეს ეს არის ახლა იჭყებს სამსახურს და, უნდა ვიფიქროთ, ათი წელი და ზოგჯერ მეტიც გაივლის, სანამ იგი ხეირიან კითხვას შეისწავლიდეს...

და, მერე, სად არის ამის მიზეზი? რა უშლის ახალ-გაზდა სამღვდელოებას ამ მხრით ძველ სამღვდელოებას არ ჩამოუვარდებოდეს?

ამ კითხვაზე რომ პირ-და-პირ საპასუხოთ საეკკლესიო წიგნების „ხუცური“. ანბანი მოვიტანოთ, ეს, რასაკვირველია, ბევრს სასაცილოთაც არ ეყოფა. უეჭველია, ბევრი ქართულ ანდაზასაც მოგვახსენებს: „გული გულობდეს, თორემო“ და სხვ. ე. ი. ახალგაზდა სამღვდელოების მხრით მტკიცე სურვილი იყოს, თორემ ანბანი როგორ დააბრკოლებს საეკკლესიო წიგნები ზედმიწევნით შეისწავლოსო... და ამის მთქმელი სავსებით მართალი იქნება. მართლაც, გული გულობდეს, მტკიცე სურვილი იყოს, თორემ განა ამისთანა მცირე რამ დაბრკოლება შეაფერხებს ადამიანს... მაგრამ საქმეც ის არის, რომ სწორეთ „სურვილი“, მტკიცე სურვილი აღარ არის ჩვენს ახალგაზდა სამღვდელოებაში, რათა ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყროდეს,—ან უკეთ რომ ვთქვათ, სურვილი კიდევაც არის და არც არის: არის და არც შეუძლია არ იყოს (პოტენციალურათ მაინც), რადგან რომელი თავ-მომწონე ახალ-გაზდა მღვდელი არ მოერიდება საჯაროთ შეკრებილებაში ბორძიკით კითხვას,—არ არის და ძალიანაც უჭირს იყოს, რადგან თანამედროვე ცხოვრებამ ჩვენი ახალ-გაზდა სა-

*) იხ. „მწყემსი“ 1898 წ. № 23—24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერო წოდება' იმ-ნაირ პირობებში ჩააყენა (შკოლიდან დაწყებული და საზოგადოებრივ ასპარეზით და ოჯახით გათავებული), რომ მას თითქმის სრულებითაც აღარ რჩება საკმაო დრო და ხალისი თავისი ძალ-ღონე იმ მეხანიკურ ვარჯიშობას შეალიოს, რასაც ისეთის გულ-მოდგინებით ასრულებდენ ძველათ (თუმც არც ყოველთვის უწკეპლოთ და უპურის-მარცვლოთ) ჩვენი პაპები, როცა მთელი „კურსი" სწავლა-მწიგნობრობისა მხოლოთ იმაში მდგომარეობდა და ცოდნის ღირსებაც იმითი იწონებოდა, თუ ვინც როგორი სისწრაფით ჩაიკითხავდა დავითნს ან ჟამნს,—„დიდი წიგნების" წაკითხვა ხომ მთელს ეპოქას შეადგენდა მაშინ მედავითნის ცხოვრებაში...

ჩვენ ამით სრულებითაც არ გვინდა ისა ვთქვათ, თითქო ძველათ საღმრთო და საეკლესიო წიგნების ცოდნა მთლად მეხანიკური ყოფილიყოს, ე. ი. შეუგნებელი, ავტომატური. არა, სრულებითაც არა... აქ ჩვენ მხოლოდ კითხვის შესწავლის პროცესსზე მოგახსენებთ, რომელიც იმ დროში (და ვგონებ, ბევრგან დღესაც), როგორც ყველანი დაგვეთანხმებიან, წმინდა მეხანიკურათ წარმოებდა; ასე რომ, წაკითხულის შეგნებას მაშინდელი მედავითნე გვიან, ძალიან გვიან ეღირსებოდა ხოლმე და ისიც მხოლოთ მაშინ, როცა მეხანიკური კითხვის წყალობით მას უკვე ნახევრათ გაზეპირებული ჰქონდა საღმთო და საეკლესიო წიგნები. დიაღ, აგეთი იყო ძველათ საეკლესიო მწიგნობრობის შესწავლის წესი: მედავითნობის და მღვდლობის კანდიდატი მთელი თავის სიცოცხლის პირველ ნახევარს (15-დან 30 წლამდე), მთელ თავის ყმაწვილურ ძალ-ღონეს ამ ერთ საგანს ახმარდა და, გასაკვირალიც იქნებოდა, რომ ბოლოს დროს გავარჯიშებული კითხვაც ველარ შეესწავლა...

დღეს კი სულ სხვაა.

ავიღოთ თუნდ ის დრო, რომლის განმავლობაშიაც ჩვენი მომავალი მედავითნე ხუცურსა სწავლობს შკოლაში.

როგორც მოგეხსენებათ, მედავითნის ადგილს ჩვენში ამ ბოლო დროს უმეტეს ნაწილათ სასულიერო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი („ოთხ-კლასიანები") ან და სას. სემინარიის რომელიმე კლასიდან გამოსულებს ღებულობენ. ახლა ვიკითხოთ: სულ რამდენ წელს გრძელდება აქ ქართულის და კერძოთ „ხუცურის" სწავლება? თუ არ ვცდებით, „ხუცურის" კითხვას სასულიერო სასწავლებლის შეგირდი პირველ ნორმალურ კლასიდან იწყებს, ე. ი. სწავლა სულ ოთხი წელიწადი წარმოებს და თუ აქვე იმ გარემოებასაც ვიგულისხმებთ, რომ აღნიშნულ საგნისთვის ყოველ კვირეულათ სულ რაღაც ორი საათია გადადებული (ზოგან, ვგონებ, არც ამდენია),—ძნელი ასაღსნელი აღარ იქნება ის მოვლენა, რომ ამ სასწავლებელში კურს დამთავრებული ჩვენი მომავალი მედავითნე ძალიან ხშირათ სრული უვიცია ხოლმე საეკლესიო წიგნებისა. ასე რომ მედავითნობის მისაღებათ მას ისევ ძველ მონასტრებში ან კერძო მასწავლებელთან მიბარება სჭირდება (და ნუ დავივიწყებთ, რომ ეს არა მხოლოთ ტიბიკვნის შესასწავლათ). ამ სახით, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი სასულიერო სასწავლებლები ელემენტარულ ცოდნასაც ვერ იძლევიან იმისას, რისთვისაც იგინი უპირველეს ყოვლისა არსებობენ (მოამზადონ ეკლესიის მოსამსახურენი)...

უკეთესს მდგომარეობაში არ არიან არც სამღვდელო ხარისხის კანდიდატები. თუ არ ვცდებით, ჩვენს სას. სემინარიებში ქართული ენისთვის (საერო და საეკლესიო ლიტერატურისთვის ერთათ) გადადებული დრო პირველ კლასიდან დაწყებული (სადაც კვირაში სულ, ვგონებ, რაღაც ორი თუ სამი საათია დანიშნული) შემდეგ კლასებში თან-და-თან კლებულობს, ასე რომ მე-5 და მე-6 კლასში ქართულს სულაც აღარ ასწავლიან. ამას დავურთოთ სხვა საგნების სიმრავლე და სირთულე, და ადვილათ მიხვდებით, რომ ის საშვალება, რომელსაც ჩვენს სემინარიებში ამ ბოლო დროს მიმართეს (სახარებისა და დავითნის ზეპირათ სწავლა) ვერაფერ სანუგეშო ნაყოფს იღებს: ზეპირათ დასწავლილი რამოდენიმე ფსალმუნი და ამდენივე სახარების თავი (თვით ამ სამძიმო პროცესის უხერხულობაზე ნულარას ვიტყვით) შეგირდს წლის ბოლოსვე ავიწყდება და შემდეგში-კი, ამ აუტანელი პროცესით მობეზრებული, ის უბრალო „ხუცურ" კითხვაზედაც გულს იცრუვებს.—მართალია ამ უკანასკნელ დროს თბილისის სემინარიაში, ექსარხოსის ნებართვით, ერთი კაი წესი შემოიღეს: სახელდობრ, შეგირდებს დაავალეს განსაზღვრულ სადა დღეებში სემინარიისავე ეკლესიაში რიგ-რიგათ ქართულ წირვა-ლოცვაზე იარონ საღმრთის მსახურებო წესებში სავარჯიშებლათ და კითხვა გალობაში მონაწილეობა მიიღონ. (არ ვიცით, ქუ-

თაისის სემინარიაშიაც არსებობს ეს წესი, თუ არა). და, რასაკვირველია, ამ ფრიად სიმპატიურ განკარგულების წინააღმდეგ ვის რა ეთქმის, რომ მას ზოგი უარ-ყოფითი ან უკეთ სუსტი მხარეები არ ჰქონდეს. მაგრამ, ჯერ ერთია და ვინ არის თავდები, რომ ეს წესი შემდეგშიაც, სხვა რექტორისა და ექსარხოსის დროსაც, დაცულ იქნება. .

და თუნდ ამ მხრით კიდევაც არაფერი დაგვიშავდეს, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ გვარი ვარჯიშობა თვითეულ შეგირდს წელიწადში რაღაც ორჯელ თუ სამჯელ, სულ ბევრი ოთხჯელ მეტათ არ შეხვდება, და ეს ხომ „ზღვაში წვეთია"... და თუ სავარჯიშო დღეების რიცხვი გავამრაავლეთ, მაშინ ხომ შეგირდებს გაკვეთილებს მოვაცდენთ, რაც მათ წლის ბოლოს დააწვებათ ცუდათ კისერზე. ერთი სიტყვით, თანამედროვე პირობებში თვით ეს სიმპატიური განკარგულებაც კი ვერაფერ სანუგეშოს გვიქადის: იმ ნაკლის შესავსებლად, რომელზედაც ჩვენ მოგახსენებთ, ის მეტათ სუსტია... ეს ერთ დროს თვით ამ სტრიქონების დამწერმა გამოცადა და გულახდილათ მოწმობს, რომ, თუმცა მას სურვილი საკმოთ ძლიერი ქონდა „ხუცური" კითხვა ზედმიწევნით თუ არა, რიგიანათ მაინც შეესწავლა,—სამწუხაროთ ეს სურვილი დღემდისაც სურვილათ ურჩება... მსგავსი მაგალითები სემინარიის შეგირდებში, ვგონებ, დღესაც დიდს უმრავლესობას უნდა შეადგენდენ. ამის მიზეზი მთელი სემინარიული სისტემაა სწავლებისა, ან უკეთ ამ სისტემის სირთულე, რისი წყალობითაც სხვა-და-სხვა მძიმე საგნებით ტვინ-მოქანცულის და ნერვებ-აშლილ შეგირდს ხშირათ საღსარი აღარ ააქვს, გული აღარ შესწევს იმისთანა ვარჯიშობას მიმართოს, როგორიც „ხუცურის" კითხვაა... ესევე ემართება მას კანიკულებზედაც, როცა იგი მთელ თავისუფალ დროს დასვენებასა და გართობას ანდომებს, რათა წლის განმავლობაში მეცადინობით და ეკზამენებით მოდუნებული ნერვები შეასვენოს და ახალი წლიდან ძველებური ენერგიით მიჰყოს ხელი, მართალია, ბევრისთვის არა სასიამოვნო ჯაფას, საჭირო შრომას და ასე ბოლომდე...

(შემდეგი იქნება)

დრეკებით ჩრდილოელი ს. გ.

ამბროლაურის წიგნთ-საცავი.

ჟურნალის „მწყემსი"-ს მკითხველს ეცოდინება, რომ ბლაღოჩინის ნიკიფორე კანდელაკის თაოსნობით ს. ამბროლაურს ზოგიერთმა ქვემო რაჭის სამღვ. დააწესა წიგნთ-საცავი. ამ საქმეში გაერიენ ზოგიერთი ერის კაცებიც. მთლად დამაარსებელნი იყვნენ ორმოცამდე. ესენი ისეთი აღტაცებით მიეგებენ ამ საზოგადო საქმეს, რომ მარტო წიგნთ-საცავის დაწესებას-კი არ დასჯერდნენ, მათ განიზრახეს წიგნების მაღაზიის გახსნაც, მაგრამ საუბედუროდ, კინალამ არ აღსრულდა 1894 წ. ჩემ მიერ დაწერილი სიტყვები. ხსენებულ 1894 წელს „მწყემსი"-ს მე-№ 18-ში მე ვწერდი: „ჩემის აზრით უკეთესი იქნებოდა ჯერ წიგნთ-საცავი განეხორციელებია ამხანაგობას, სული ჩაედგა მისთვის, ფეხზედ დაეყენებია და შემდეგ შეიძლებოდა შედგომოდა მაღაზიის დაარსებასაც, თორემ ორ კურდღელს რომ კაცი გაეკიდება, ორივე წაუვა. მეშინია, რომ აქაც ასრე არ მოხდეს„. მართლაც კინალამ ასრე არ მოგვიხდა: არა თუ წიგნთ-საცავთან მაღაზია დავაწესეთ, ცოტა გაწყდა, წიგნთ-საცავიც დაიხურა ღარმე.

ჩვენი საზოგადოება როგორც ერის კაცნი ისრე სამღვდელონი ყოველს ახალს დაწესებულებას აღტაცებით ეგებება, მაგრამ ეს სურვილი დიდხანს არ გასტანს, მალე უგრილდებათ გული; წარმოიდგინეთ, დროიდგან ამ წიგნთ-საცავის დაარსებისა აქამომდე ერთჯერაც არ მომხდარა ამხანაგობის კრება; თუმცა ამ საქმის მოთავეს არა ერთ გზის მოუწვევია წევრნი, მაგრამ ოთხი-ხუთი კაცი თუ მოვიდოდა კრებაზედ, რომ წიგნთ-საცავის საქმე შეეტყოთ და უმჯობესად დაეყენებიათ საქმე. ამ მიზეზის გამო ეს კეთილი საქმე უკან და უკან წავიდა. კაცმა არ იცის, წიგნთ-საცავში რამდენი და რაგვარი წიგნია, რამდენი იყო მკითხველი და ვის წაუღია წასაკითხად წიგნი ან ყველას დაუბრუნებია უკან თუ არა?

ჩვენს მაზრაში თანდათან მატულობს ნასწავლი სამღვ., რომელთაგანაც საზოგადოება უნდა მოელოდეს ამ გვარ დაწესებულებათა დაარსებას და სხვა ხალხის სასარგებლო საქმეს. მაგრამ, საუბედუროდ, ზოგიერთი მათგანი უმეტესად მისდევენ თავის სასარგებლო საქმეს, ვინემ საზოგადოს, როგორიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ხსენებული დაწესებულება. ზოგიერთმა ნასწავლმა სამღვდელოებამ უარ ჰყვეს ჩვენთან ამხანაგობა. ამის შემდეგ განა შეგვიძლია, რომ მათი შემხედავი ერის კაცნი გავამტყუნოთ, რომლებიც გამოირიცხენ ამხანაგობისაგან? ხსენებულ მამებზე ზოგიერთი ერის კაცები უფრო მოწადინე არიან კეთილი საქმისა; მაგ. ჩვენ ამხანაგთაგანს ბ. მინა გიორგობიანს სურს, როგორც გავიგეთ, უთავაზოს წიგნთ-საცავს უფასოდ ერთი ოთახი შემდგომ ერთის წლისა, როცა ვადა გაუა ეხლანდელს დაქირავებულ ოთახს; იმედია, ეს დაპირება აღსრულდება ბატონი გიორგობიანისაგან.

ცხრა ამ თვეს იყო ამბროლაურს კრება ამხანაგობისა, მაგრამ წევრთაგან მეოთხედიც არ გამოცხადებულა. ვინც გამოცხადდა, მათ ბევრი იბაასეს, თუ წიგნთ-საცავის შეფერხებული საქმე როგორ გაასწორონ და მკვიდრ და საიმედო საფუძველზედ დაამყარონ. ოთახი, სადაც მოთავსებულია წიგნები ხელახლა დაიქირავეს ერთის წლით. წიგნების აკინძვა თავს იდვა ბლაღოჩინმა კანდელაკმა და წაღებული წიგნების თავის მოყრა მღვდელმა ვლადიმირ მესხმა. ამასვე დაავალა ამხანაგობამ ფულები მოსთხოვოს ამხანაგობას, ვისაც არ შემოუტანია. მანვე უნდა შეიტყოს აგრეთვე ისიც, თუ რომელს ამხანაგთაგანს არ სურს ამხანაგობა.

ძლიერ კარგს ინებებს მოთავე ამ საქმისა, რომ შემდეგ განკარგულებას მოახდენდეს: დაუყენოს საამხანაგო ფულებიდგან საიმედო კაცი წიგნთ-საცავში და ამ კაცს დაავალოს სხვა მხედველობასთან ისიც, რომ კვირა-უქმ დღეებში მთხოვნელებს აძლიოს წიგნები სახლში წასაღებად ვადით და ვისაც სურს იქვე წაიკითხოს; შეიტყოს, თუ რამდენია წიგნთ-საცავში სხვა-და-სხვა წაგნები და ისიც აღნიშნოს, თუ რამდენია მკითხველი წლის განმავლობაში. ეს უკანასკნელი ცნობა საჭიროა, რომ შეეიტყოთ, თუ რამდენად მიეჩვია ჩვენი ხალხი წიგნის კითხვას. ვინც შემოსწიროს რამე წიგნები, ჩაიწეროს სიაში შემომწირველის სახელი და გვარი შემომწირველთა წასახალისებლად. აგრეთვე საჭიროა ვიცოდეთ, თუ რამდენი ფულია შემოტანილი ამხანაგობისაგან დღიდან წიგნთ-საცავის დაარსებისა. იმედია, ჩვენი ამხანაგობა ფიცხელ ყურადღებას მიაქცევს აწი მაინც ამ საქმეს, რადგან საქვეყნოდ გახმიანდა ეს ჩვენი დაწესებულება და ამის წარმოებისა და საფუძვლიან ნიადაგზედ დამყარებისათვის არ დაიზოგავს არც შრომას და არც ნივთიერ შემწეობას, თორემ თუ ამას ცუდი შედეგი მიეცა, მაშინ ეს ფრიად სასირცხო იქნება როგორც ერის კაცებისათვის, ისე სამღვდელოებისათვის უმეტესად.

ამხანაგთაგანი

„მწყემსის» კორესპონდენციები

(ლეჩხუმიდან).

წელს სხვიმინდულად დიდი წვიმები არ ყოფილა ჩვენკენ და ამიტომ არც მიწა გამბალა საკმაოდ, ხოლო ივნისიდან ვიდრე 27 ივლისამდე არა თუ წვიმით არ გამაძღარა მიწა, ცვარიც ბ არ ყოფილა, რადგან დამე ცა ღრუბლით იხურებოდა და დღე ძლიერი სიცხეები სწვავდა. ბალახი გახმა, წულები ალაგ-ალაგ დაშრა, კ ცი და საქონელი შეწუხდა აუტანელი სიცხისაგან. ხალხი შეაწუხა შიმშილის მოლოდინმა. პური მჩუტეთ დამწიფდა, სიმინდი სანახევროდ გახმა და აშრეს. ეკლესიებიდან ხატებს ასვენებდენ მდინარე წულებზედ დასაბანათ ლიტანიით, მაგრამ არ შეიქნა საშველი. ბოლოს 17 კვირიკობისთვეს სოფელს ოუურეშიდან წაასვენეს ხვამლის მთაზედ ორი დიდი და დიდებული ჩმინდის გიორგის ხატი. ეს ორი ხატი შესანიშნავია მთელს მაზრაში თავის სიდიდით, დიდებული მორთულობით, სიძველით და სასწაულ მოქმედობით. ხალხის მოთხრობით ეს ორი წმინდის გიორგის ხატი ძველ დროში დასვენებული ყოფილა ხვამლზედ, სადაც ყოფილა ეკლესია და ბერების მოსახლობა. წერილობით ჩვენში თუმცა ამაზედ არა სჩანს რა, მაგრამ ხვამლზედ ახლაც ცხადათ სჩანს და აუტუვია ძველი ნ[illegible]ეკლესიები,

ტრაპეზი, შენობის ნანგრევები სულ თლილი საპტიო ქვებისაგან, გალავანი, ბერების სენაკების ნაშთნი და სხვ. სხვაც ბევრი რამ შესანიშნავია ამ მადალი მთის წვეროზე. ეხლა დაუბრუნდეთ ჩვენს ლიტანიას. 27 კვირეობისთვეს შვიდის პაპანაქება სიცხეში გავემგზავრეთ ოუურეშის ეკლესიიდან ხვამლისკენ ასიოდე კაცი და ქალი, ხატებს მიასვენებდა ოთხ-ოთხი კაცი ჯალავრით. ლიტანიას წინ მიუძღოდენ განუწყვეტელი ბუკის კვრით და ზარების რეკა დიდ ხნს არ შეწყვეტილა. ხალხი ფეხშიშველა. ქუდ-მოხდილი უკან ახდა სასწაულ მომქმედს დიდებულ ხატებს და ცრემლით შესტიროდა თავის გაჭირვებას. გზა იყო ჯერ ადმართ მინდვრებზე და მერეთ ისეთსავე დაბურვილს მადალ ტყეებში. გრილი მთის ნიავი და მყინვარე წყლები გვიგრილებდა სიცხისა და მგზავრობისაგან გახურებულს და ათრთოლებელს გულს. მზე კიდევ ანათებდა ამ მადალ მთას, როცა ჩვენ შევაწიეთ შიშველ მთის მინდორზე. ხატები დავასვენეთ ნაეკლესიებზედ, შევხსენით სახვევლები და გავაჩერეთ ნატრაპეზალზედ, აუნთეთ სანთლები და წამოვიჩოქეთ მათ წინაშე ვედრებით. ეს იყო გულმხურვალე ვედრება მდაბიო ხალხისა, არა თუ ყალბი, პირშეფერებული და ფარისევლური, როგორც შეგვიხედავს ზოგიერთი მლოცველებისთვის, რომლებიც სათვალმაჩინოთ აქნევენ ხელებს, ვითომც პარჯვარს იწერენ.

ამ მთაზედ ადიან მოცლილი კაცები სათვალისეირეთ. აქედან მოჩანს მთელი კავკასია: ორივე ზღვა მათის მდინარეებით, მთები და ქალაქ ბი სარკესავით ცხადათ შესახედავია აქედან; მთის გარშემო მდიბარე სოფლებს მხედველი მიმინოსავით მაღლიდან ეჩერდება. მე კი შიშმა შემიპყრო და გადახედვა ვერ გავბედე, ისე მაზიდავდა რაღაცა უცნაური ძალა ძირისკენ. აქ ამ შიშველ მინდორში არიან სალი კლდეები ძეგლებივით ამარეული, იმათ ნაპრალებში, სადაც ჯურღმულში მოჩანს თოვლი და ყინული. ერთი სიტყვით ბევრი რამ საკვირველება ინახება აქ ბუნებისაგან. მაგრამ ჩვენი მიზანი სულ სხვა იყო. დალამებამდის გარდვახადეთ სამადლობელი პარაკლისი და აი ცხოველი სასწაული!! ისმინა უფალმან ვედრება ჩვენი: «რათა უბრძანოს ღრუბელთა ცისათა მოცემად წვიმა... გაჩნდა ნისლი მთის გარშემო, დაგვიახლოვდა და გარს შემოგვერტყა; ამას მოყვა ცივი ქარი, გასქელდა ნისლი და აიწია თანდათან მაღლა. მოიქნა ქუხილი, ელვა და ბოლოს ნელი წვიმა. ჩვენს სიხარულს და მადლობას წმინდა გიორგისადმი ალარ ჰქონდა საზღვარი. ახლა კი მივხვდი, რომ ტყუილად არ ქონდა დაკონებული ხალხს წმინდა გიორგის ხატების გასვენება ამ მთაზედ, გამოცდილი გვაქვს, რომ არ გაწბილდება მათი იქ მ ბძანებაო. სწორედ ა ეთი მხურვალე სარწმუნოებით და ვედრებით ქონიათ მათ გამოცდილი წმინდა გიორგის მეოხ ბა და ძლევა-დიდება ბუნებაზედაც. ა ისად ჰქონია სათავე ხალხურ მოთხრობს, რომ ვითომ წმინდა გიორგი და ილია წინასწარმეტყველი ცაში ცხენებს აჭენებენ და რახუნი და ელვა-ჭექა იქედან არისო. ჩემს დღეში ასე ცხოველი სასწაული არ მინახავს და ახლა კი მჯერა, რომ ჩვენს ცოდვილ დროშიდაც მოხდება სასწაული ლოცვით და ჭეშმარიტი სარწმუნოებით და სასოებით. როცა წვიმა დაიწყო, ხალხი გაიფანტ გამოფანტა აქა-იქ ქვაბუნებში თავის შესაფარებლად და ზოგი კი იქვე ხატებთან დავრჩით. მეორე დღეს ბუკის ხმამ ხელ ახლა მოგვაყარა თავი წმიდა გიორგის ხატებთან, სადაც პარაკლისი გარდვიხადეთ და მეხლ მოხრით მადლობა შევსწირეთ სასწაულთ მომქმედს და ძლევა მოსილ ხატებს. და გულ დაშშვიდებული დავბრუნდით სოფელში წმინდა ხატებით. იმ დღიდან გაიხსნა შეკრული ცა და იწვიმა საკმაოდ, გაცოცხდა ყოველი დაბადებული კაცი, ცხოველი და მცენარე. ღმერთო, უშვენე გაჭირვებულს მდაბიო ხალხს, რომელსაც ყოველ ჭირსა და ლხინშიდ აქვს ერთად-ერთი უტეეარი იარაღი—სარწმუნოება, სასოება ღ მხერვალე ვედრება.

მღ. ანტონ გოლეთიანი.

ს. ბანძა (სენაკის მაზრა). აგერ მესამე წელიწადი სრულდება, რა რომ ბანძაში მეორე კლასიანი სამასწავლებლო კურსიანი სამრევლო შკოლა არსებობს, რომლის შესანახად მთავრობა ყოველ წლობით ათას-ხუთას მანეთს იძლევა. შკოლაში წელს ექვსმა ყმაწვილმა დაამთავრა სწავლა, რომელთაგან სამი გამომცდელმა კომისიამ საეპარქიო მეთვალყურის თავმჯდომარეობით ორ-კლასიან შკოლის მოწმობის მიცემის ღირსად ცნო, სამს კი მიეცემა მეორე კლასიანი შკოლის მოწმობა მასწავლებლობის წოდებით, თუ რომ ისინი ისურვებენ დარჩენას მომავალ სამოსწავლო წელში, რამდენ ხანსაც საჭიროდ იქნება დანახული, იმ ცოტა ნაკლის შესავსებად, რომელიც ვერ მოასწრეს გავლილ დროებაში შესაწყნარებელ მიზეზთა გამო. დანარჩენი მოწაფეები, ეგზამენებით გადარჩევის შემდეგ, იმავე გამომცდელმა კომისიამ საჭიროდ დაინახა დაერჩინა ისევ იმავ კლასებში, რადგან, თუ არ ასე, პროგრამმის გავლას ვერ მოასწრებდენ, რომელიც ერთობ ვრცელია სამი წლის კურსისათვის არამც თუ ქართველ ყმაწვილებისათვის, არამედ თვით რუსებისთვისაც შიგ რუსეთში. ამ გარემოების გამო გამომცდელმა კომისიამ, ბატ. საეპარქიო მეთვალყურის წინადადებისამებრ, თანახმად უმაღლესის მთავრობის განკარგულებისა, დაადგინა მეორე-კლასიან შკოლასთან არსებულ ერთ-კლასიან სამაგალითო შკოლაში ამიერიდან შემოღებულ იქმნას ოთხ-კლასიანი სწავლების კურსი. მეორე-კლასის მასწავლებლებს კ. არვეცაძეს და ერ. თოფურიძე, ერთ-კლასიან შკოლის ყმაწვილების სწავლებისათვის საეპარქიო რჩევის სამაზრო განყოფილებისაგან გამოეცხადათ მადლობა.

ყველა ყველა და შკოლის შენობის უქონლობა ძლიერ აფერხებს სწავლების საქმეს. როცა რომ ბევრგან რუსეთში და საქართველოშიაც ააგეს და აშენებენ მეორე-კლასიან შკოლებისათვის შენობებს და მთავრობაც უხვი შემწეობით (ათას ათასიდან ოცდა სამ ათასამდე ადის მთავრობის გამოცემული შემწეობა ფულად-ფული თითო შენობის ასაგებად) დახმარებას აძლევს საზოგადოებას, ბანძას ამასობაში თავისი შკოლა მოუთავსებია ძველ ხის ნადგამებში, რომლებიც ქარს ვერ იჭერს და წვიმას. თქვენ წარმოიდგინეთ ისეთი შენობა, სადაც ზამთარში ყმაწვილებს მელანს უყინავს და ისიც სად მერე—ცივ რუსეთში კი არა, საქართველოის თბილ კუთხეში, ბუნება დალოცვილ ოდიშში. ეს ფაქტია, მკითხველო, და გაზვიადებად ნურავინ ჩაბოძართმევს. აქ შეჩერება არ შეფერის მათ, ვინც ეს საშვილიშვილო კეთილი საქმე აქამდი მოიყვანა თავის მეცადინეობით, აქ საჭიროა მხნეობა და ხელის გამოღება. ბოლოა საქმის დამაგვირგვინებელიო, ამბობენ რუსები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბანძის საზოგადოება თავის დანაპირების ასრულებაზე უარს არ იტყვის რადგან დანაპირების ასრულება მათვის გასაჭირი არ არის: შვიდასამდე კომლია, შეძლებულიც ბევრია შინ და გადალმა, ირგვლივ ბევრი საზოგადოება აკრავს, რომლებიც მცირე შემწეობაზე უკან არ დაიხევენ. მხოლოდ მეტი ენერგია მეთაურთაგან, მეტი გარჯა: რაც მეტი საზოგადოებაა, მით მეტი უნდა თავიანობაც საქმეს. მათი მეუფება, ალექსანდრე, გურია-სამეგრელოის ეპისკოპოზი, როგორც ღრმად განათლებული პირი, დიდად მზრუნველი მისი სამწყსოის კეთილ-დღეობაზედ და დაახლოვებით მცნობი ეპარქიისა, განსაკუთრებით საჭიროდ რაცხს მეორე-კლასიან შკოლას ბანძაში, როგორც თვითონ გვიბრძანა ეს მათმა მეუფებამ და როგორც აქამომდე აწიც იმედი უნდა გვქონდეს მათი მწყემსმთავრული შემწეობისა.

ამ სამოსწავლო წლის განმავლობაში შკოლა ინახულეს მათმა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ, მათმა მეუფებამ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ორჯერ), ქუთაისის გუბერნატორმა და სხვა პირთა.

მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, ექსარხოსი ფლაბიანე მარტვილიდან მობრძანდა ბანძაში. თუმცა კვირა დღე იყო, მაგრამ აუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელი ხალხი და მოწაფეები ეკკლესიაში მიეგებენ მათ მეუფეებას. მან ინება ყმაწვილების შკოლაში წაყვანინება და იქ ნახა ყოველივე დაწვრილებით. იუწყა მეორე კლასის მოწაფეების რაოდენობა და სამწუხაროდ დაურჩა, რომ მათი რიცხვი ორმოცდა ოთხს არ აღემატებოდა; იკითხა მიზეზი ამ გარემოებისა; იუწყა აგრეთვე მასწავლებლების ვინაობა, სად იყვნენ სწავლა დამთავრებულები; რა საგნებს გადიოდენ მოწაფეები და რომელს ენაზედ —ქართულზედ თუ რუსულზედ. შემდეგ გამოსცადა ყმაწვილები საღვთო სჯულში და რუსულ ენაში. ფრიად საყურადღებოა, როგორი საშვალება იხმარა მათმა მეუფებამ იმის შესატყობად, თუ რაოდენ შეგნებულად იცოდენ ყმაწვილებმა ნასწავლი. ამისათვის მან მიმართა ყმაწვილების სამშობლო ენას და მოითხოვა, რომ რუსულად მინაგები ქართულად ეთქვათ და კმაყოფილი დარჩა, როცა შეგნებულად და დალაგებით გაიმეორეს ყმაწვილებმა რუსულად მინაგები ქართულადაც, როცა ხელოვნური ენით გადმოუქართულეს კრილოვის არაკში ავტორისებურის ენამახვილობით გამოთქმული ადგილები. ნახევარ საათზედ მეტი დაჰყო მათმა მეუფებამ ყველა კლასებში. დიდის პედაგოგიური ხელოვნებით მიცემულმა კითხვებმა მათის მეუფებისამ, მისმა ლმობიერმა მოქცევამ ისე გაათამამა ყმაწვილები, რომ ამათ არ ეტყობოდათ არავითარი დარცხვენა, რომელიც ასე ჩვევია ყმაწვილებს უფროსთა წინაშე. დღესასწაულივით მოელოდენ ყმაწვილები მაღალყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანეს მობრძანებას და მუდამ დაუვიწყარიცაა იმათ გულში მათი მეუფებისაგან მიღებული შთაბეჭდილება.

კ. ა—ძე.

ახალი აბბები და შენიშვნები.

ვარშავის გაზეთებში აღნიშნულია, რომ მომავალ 1900 წელს ძველის კალენდრით თებერვლის თვეში 29 დღე იქნება, ხოლო გრიგორიანთ (ე. ი. ახალს) კალენდარში-კი—28 დღე, რადგან გრიგორიანთა კალენდრით ოთხ 100 წლის შემდეგ თითო დღე აკლდება თებერვალს. ვარშავის გაზეთებს ეს ამბავი იმის გამო აღუნიშნავთ, რომ ამ ჟამად უკვე გაჩნდა ისეთი თამასუქები, რომლებზედაც ფულის გარდახდის ვადად ნაჩვენებია 1900 წლის 29 თებერვალი.

„მთავრობის უწყ.“ში დაბეჭდილია: „უმაღლესის ბრძანების თანახმად განზრახულია გადადებულ იქმნას 3.262,000 მან. სიმშვერტორო უნივერსიტეტებთან სასოგადო ბინების გასამართავად და გაიცეს ოთხ 32,400 მან. უნივერსიტეტების იურიდიულ და ისტორიულ ფილოლოგიურ ფაკულტეტებზედ ბრაქტიკულ მეცადინეობის გასამართავად და გასაძლიერებლად“. ამასთან ერთად „მთავრობის უწყ.“-ში გამოქვეყნებულია სერო განათლების მინისტრის ბრძანება, რომელშიაც გამოთქმულია, რომ საჭიროა დამყარდეს ურთიერთობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის. ამ აზრით ნება დართულია, დაარსებულ იქმნას, ბრიოფესორთა ბასუხისგებით და ხელმძღვანელობით, სამეცნიერო და სალიტერატურო წრეები მეცნიერულ და ლიტერატურულ საგნების შესახებ რეფერატების წასაკითხად და გასარჩევად, აგრეთვე მგალობელთა გუნდები და ორკესტრები, და დასასრულ, სტუდენტთა სასოგადო ბინები. „ეს ბინებიო, ნათქვამია შემდეგ, განათავისუფლებენ უმაწვილკაცებს ბინებისა და საჭმელ-საჭმელისათვის ზრუნვისაგან და დაიცვენ მათ უცხო ქალაქის მავნებელ გარეშე გავლენისა და ცთუნებისაგან; ამასთან თუ კარგად იქმნებიან მოწყობილნი, ფართო გზას გაუხსნიან სასწავლებელთა მთავრობას, მასწავლებელთ და მოსწავლეთ ერთმანეთთან დაახლოვებისათვის და შეექმნიან საუკეთესო პირობებს სამეცნიერო სწავლა-მეცადინეობისათვის, განსაკუთრებით თუ ამ მეცადინეობის ხელმძღვანელობას მასწავლებლები იკისრებენ. სტუდენტთა სასოგადო ბინების გასამართავად მთავრობის განზრახვა აქვს ძალიან დიდი ფული გადასდოს. საურველია, რომ ადგილობრივმა სასოგადოებებმაც დახმარება აღმოუჩინონ ამ კეთილ საქმეს შემოწირულებით. ამ აზრით შესაძლებელია დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული კომისიები ბრიოფესორთა და ადგილობრივის სასოგადოების წარმომადგენელთაგან, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თავმჯდომარეობით. რაც შეეხება კურსებისა ანუ სტუდენტთა სხვა გვარ ორგანიზაციებს მათის წარმომადგენლებით, დეპუტატებით ანუ მამასახლისებით, ესენი მე, არა თუ მეტად, არამედ საზიანოდაც მიმაჩნია აკადემიურ ცხოვრების მშვიდობიანის მიმდინარეობისათვის, რომელიც აუცილებელ პირობას შეადგენს სწავლა-მეცადინეობის წარმატებით მსვლელობისას.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ეთიკაზე.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ*)

ᲨᲕᲘᲓᲗᲐ ᲔᲠᲛᲐᲗᲐ ᲔᲤᲔᲡᲔᲚᲗᲐ.

ᲐᲢᲔᲠᲘ და მდევნელი ქრისტიანობისა რომის მეფე დეკეოზი მოვიდა რა კართაგენიდგან ქალაქს ეფესოს, ბრძანება გასცა, რომ შეკრებილიყო ხალხი, და კერპებისათვის მსხვერპლი შეეწირათ. კერპი ქალაქის შუა ადგილას იყო ამართული. მეფის ბრძანება შესრულდა: დაკლულის ცხოველების სისხლით დედამიწა წითლად შეიღება და ჰაერი კვამლით გაშავდა და მოიწამლა. დღესასწაულის მესამე დღეს მეფემ ბრძანა: მონახეთ ყველა ქრისტიანი და ძალა დაატანეთ, რომ იმათაც მონაწილეობა მიიღონ ამ დღესასწაულობაშიო. შიშისგან გარეთ დამალული და სახლში მყოფი ქრისტიანები მალე შეჰკრიბეს; ამათში ვინც სუსტი ხასიათის და მდაბალი სულის პატრონი იყო, მეფის რისხვაშიშს ვერ გაუძლო, უარი სთქვა ჭეშმარიტს ღმერთზე და კერპებს თაყვანი სცა; ხოლო ვინც მტკიცე და შეურყეველი აღმოჩნდა, ის ერთი ათად გამხნევდა და ტანჯვა-წამებას გულადად მიეგება.

აი, ამ დროს ქ. ეფესოში სცხოვრებდენ შვიდი ყრმანი, შვიდნივე წარჩინებულისა და გამოჩენილ კაცთა შვილები. ამათი სახელი იყო: მაქსიმიანე, იამბელიქე, მარტიონი, იოანე, დიონოსი, ძარკელი და ანტონინი. ყველანი სამხედრო უწყებაში მსახურებდნენ და კარგადაც დაჯილდოებულნი იყვნენ. ამათ სულით და გულით უყვარდათ უფალი იესო ქრისტე, მუდამ ერთად ლოცულობდნენ, მარხულობდნენ, და ყოველ გვარის ბიწიერებისაგან თავს იცავდნენ. ესენი რომ ქრისტიანების ტანჯვა-წამებას ხედავდნენ, გული სიბრალულით ევსებოდათ და მუდამ მწუხარებასა და ოხვრაში იყვნენ. როცა მეფე და ხალხი კერპთ-თაყვანის-საცემლად შეიკრიბებოდნენ, ესენი ქრისტიანების ეკკლესიაში ჩუმად მიდიოდნენ, მაცხოვრის ხატის წინ მუხლს იყრიდნენ, ლოცულობდენ და მწარედ სულთ-ითქმიდნენ. თუმცა ასე ფარულად აღიარებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას, მაგრამ ბოლოს მაინც შეუტყვეს და მეფესთან დაასმინეს:

—მეფევ, შორიდგან იწვევ ხალხს ღმერთების თაყვანის-საცემლად და აგერ თქვენ გარშემო მყოფნი კი სრულიად ეწინააღმდეგებიან ამ ბრძანებას, ჩვენს ღმერთებს ჰგმობენ და ქრისტიანების ეკკლესიაში დადიანო.

—დამისახელეთ, ვინ არიანო? მრისხანედ ბრძანა მეფემ.

—ერთი ქალაქის გამგებელის შვილი მაქსიმიანეა და ექვსიც კიდევ სხვა მებატონეთა შვილებიო, უპასუხეს მაბეზღარებმა.

—ეხლავე შეიპყარით და მომგვარეთო, უბრძანა მეფემ.

ბორკილ-შეყრილნი ყრმანი მალე წარადგინეს მეფესთან; მეფემ მრისხანის თვალით შეხედა იმათ და უთხრა:

—რატომ არ იყავით ჩვენის ღმერთების დღესასწაულზედ? მთელი ხალხი მომიწვევია ამათ თაყვანის-საცემლად და თქვენ როგორ გაბედეთ, რომ არ მოხვედით!? გიბრძანებთ, ეხლავე მიდით და თაყვანი ეცით.

მაქსიმიანემ მიუგო მეფეს:

—თაყვანის-ცემა მხოლოდ ერთს ღმერთს ეკუთვნის, იმ ღმერთს, რომელიც უხილავია და ცათა შინა იმყოფება, იმიტომ რომ იმისგანაა ყოველივე შექმნილი და გაჩენილი. უსულო კერპებს-კი თაყვანს ვერ ვსცემთ და ამით ჩვენს სულს ვერ შევაგინებთო.

—ახადეთ მაგათ სამხედრო ხარისხიო, წამოიძახა მეფემ. თქვენ ღირსი არა ხართ ჩემის მხედრო-

*) 4 აგვისტოს მართლ. მადიდებელი ეკკლესია იხსენიებს შვიდთა ყრმათა ეფესელთა ცხოვრებას და მოღვაწეობას. შვიდთა ყრმათა ეფესელთა ცხოვრების აღწერა, ჩვენის აზრით, ძლიერ სასარგებლო ზნეობრივი მეცნიერება არის და ამისათვის ვბეჭდავთ და იმედი გვაქვს, რომ ჩვენნი მწყემსნი წაუკითხვენ ამ მოთხრობას სამწყსოთა.

რედ.

ბისა და ეხლავე დაგხოცავდით კიდეც, მაგრამ ახალგაზდანი ხართ და მებრალებით. ეცადეთ-კი, რომ ჭკუაზე მოხვიდეთ, ამისათვის დროსაც მოგცემთ, რომ კარგად მოიფიქროთ.

მეფემ განათავისუფლა ყრმანი და თვითონ დროებით სხვა ქალაქში გაემგზავრა. ყრმანი სრულიადაც არ შერყეულან, ქრისტეს სარწმუნოებას წინანდებურადვე აღიარებდნენ და მრავალს მოწყალებას არიგებდნენ. ამავე დროს მოილაპარაკეს ერთმანეთ შორის და გადასწყვიტეს, მოვშორდეთ აქაურობას და დავიმალოთ სადმეო; იქ მხურვალედ ვილოცოთ, რომ ღმერთმა ძალა მოგვცეს, მეფის წინ კიდევ უშიშრად წარვსდგეთ, ჩვენზე მოყენებული ტანჯვა მხნეობით ავიტანოთ და ამით ვეღირსოთ იმ პატივსა და გვირგვინს, რომელიც უფალმა თავისს მოყვარეთა და მოსავთა განუმზადაო. გამოართვეს მშობლებს ფული, გაემგზავრენ აღმოსავლეთისაკენ და მიადგნენ ოქლონის მთას. ამ მთაში იპოვეს ერთი მღვიმე და შიგ თავი შეაფარეს. აქ კარგა ხანს დარჩნენ და განუწყვეტელს ლოცვაში იყვნენ. ამათში ყველაზედ უმცროსი, რომელსაც იამბელიქე ერქვა, გამოდიოდა ჩუმათ ქალაქში, პურს ყიდულობდა და მიჰქონდა მღვიმეში. იმასვეე დავალებული ჰქონდა, რომ შეეტყო, როდის დაბრუნდებოდა მეფე დეკეოზი თავის მოგზაურობიდგან. იამბელიქე ქალაქში წასვლის დროს ყოველთვის ძონძის ტანისამოსით იმოსებოდა, რადგან ეშინოდა, არავინ მიცნოსო. პურის ფულიდგან ზოგს ნაწილს გლახებს ურიგებდა.

გავიდა რამდენიმე ხანი. იამბელიქე კიდევ გაემგზავრა პურის საყიდლად ქალაქში. შეიტყო, რომ მეფე დაბრუნებულა და ქალაქის უფროსებისა და მხედართ-მთავრებისათვის უბრძანებია, რომ შეკრბნენ ღმერთების თაყვანის-საცემლად. ისიც შეიტყო, რომ თვით ამათ საპოვნელადაც იყო კაცები გაგზავნილი. იამბელიქეს შეეშინდა, საჩქაროთ უკანვე დაბრუნდა და ყოველივე ნახული და გაგონილი თავისს ამხანაგებს უამბო. ყველას შიშის ზარი დაეცა, მაგრამ თავს ძალა დაატანეს, მუხლი მოიყარეს და ღმერთს სულთქმით შველა და დახმარება სთხოვეს.

დაბინდებისას ლოცვით და მარხვით დაქანცულებმა ცოტათი ისაზრდოეს და ისევ მომავალის ტანჯვის ფიქრსა და ლაპარაკში გაერთვნენ. ერთმანერთს ამხნევებდნენ, აგულიანებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ უკან ნუ დავიხევით და ნუ შევუშინდებით ამ წამიერ ტანჯვას, თუ გვინდა საუკუნო სიხარულსა და ნეტარებას ვეღირსოთო.

ხანგრძლივმა ლოცვამ და ტირილმა დაქანცა, დაასუსტა ყველანი, თვალები დაუმძიმდათ და მიეძინათ.

კაცთ-მოყვარე ღმერთმან, ეკლესიისა და მორწმუნეთა სასარგებლოთ, გამოაჩინა თავისი ძალა და ყრმები სამას-სამოც-და-თორმეტი წელი საკვირველის ძილით დააძინა. ამ სასწაულით ცხადად დაანახვა მკვდრეთით აღდგომა იმათ, ვინც ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ საქმეს. თუმცა წმიდათა მიძინება სიკვდილსა ჰგავდა, მაგრამ გვამი-კი ისევ შეურყეველად და დაურღვეველად შერჩათ.

იმათის მიძინების შემდეგ მეფემ ბრძანება გასცა, რომ ყრმები მონახეთ და მოიყვანეთო, მაგრამ გაგზავნილი კაცები რომ ვერას გახდნენ და უკან დაბრუნდნენ, მეფემ მიმართა თავის ჯარის კაცებს და უთხრა: ძალიან მებრალება და მენანება ის ახალგაზდები; მენანება იმიტომ, რომ მეტად საღცხოვრამ იყვნენ. საბრალონი უთუოდ ჩვენ რისხვას შეუშინდნენ და დაიმალნენ; მე კი დიდის სიამოვნებით ვაპატიებდი, რომ მოსულიყვნენ, აღვარებინათ თავიანთი დანაშაული და თაყვანი ეცათ ჩვენი ღმერთებისათვის.

—არა, მეფეე, ისინი შესაბრალისნი არ არიან, მიუგო კარის კაცთაგანმა. რომ შეენანებიათ, კიდევ, ჰო, მაგრამ შენანებას ვილა სჩივის, პირიქით უფრო ჯიუტობა და ურჩობა გასწიეს. როგორც ამბობენ, თურმე საშინლად კიცხავდნენ და გმობდნენ ჩვენს ღმერთებს. ბოლოს აუღიათ და რაც ოქრო ვერცხლი ქონიათ, სულ გლახებისთვის დაურიგებიათ და კიდეც დამალულან; მაგრამ თუ იმათი ხელში ჩაგდება გსურთ, მშობლები მოაყვანინეთ აქ, იმათ დაატანეთ ძალა და ათქმევინეთ, საცა არიან იმათი შვილები დამალულნი.

მეფემ მოიწონა ეს რჩევა, მოაყვანინა ყრმების მშობლები და წყრომით უთხრა:

—მითხარით, სად არიან თქვენი შვილები, თორემ იცოდეთ, იმათს ურჩობას თქვენ გადაგახდევინებთ. კარგად ვიცი, რომ თქვენ მიგიციათ იმათთვის ფული და დაგიმალავთ კიდეც.

—არა, მეფეე, უპასუხეს მშობლებმა, იმათთვის არც ფული მიგვიცია და არც დაგვიმალავს; ფული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩვენოდ წაიღეს და მხოლოდ მაშინ გავიგეთ, როცა დაერიგებინათ კიდეც გლახებისათვის. ჩვენ დიდი ერთგულნი ვართ თქვენიცა და ჩვენის ღმერთებისაც და ჩვენს შვილებს როგორ ვურჩევდით, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ. ამბობენ, რომ ისინი ოქლონის მთის გამოქვაბულში არიან დამალულნიო.

—მაშ კარგიო, სთქვა მეფემ, თუ დამალვაა, მე იმათ ისე დავმალავ, რომ სამუდამოდ ველარ ნახოს იმათმა თვალმა ნათელიო. ბრძანა: ეხლავე წადით და ქვით ამოაშენეთ მღვიმეში შესავალი კარები, რომ შიგვე ამოიხოცნენო. ბრძანება შესრულებულ იქმნა და მღვიმეში შესავალი კარები ქვით ამოაშენეს.

გავიდა დრო და ყველამ დაივიწყა ეს ამბავი, მხოლოდ ორმა კაცმა არ დაივიწყა. ეს ორი კაცი იყო თედორე და რუბინი და ორივენი ფარულად აღიარებდნენ ქრისტიანობას, რომ ხალხს არ დაეკარგოს ყრმების ღვაწლი და ისტორიაო, ამ ორმა კაცმა გააკეთებინეს ტყვიის ფიცარი, ზედ წააწერეს იმათი ტანჯვა-წვალება, ჩასდვეს სპილენძის კიდობანში და ქვით ამოშენებულ მღვიმის კარებში ჩააყოლეს.

მალე გარდაიცვალა დეკეოზ მეფე, მაგრამ იქის შემდეგ გამეფებულნიც დეკეოზის გზა-კვალს დაადგნენ და ეკლესიას მოსვენებას არ აძლევდნენ. მხოლოდ, როცა კონსტანტინე დიდი გამეფდა, მაშინ მოისპო რომში კერპთ-თაყვანის მცემლობა და მთელს სამეფოს ქრისტიანობის ნათელი მოეფინა. კონსტანტინემ კარგა ხანს იმეფა და იმის შემდეგ თეოდოსი მცირე გამეფდა. ამ თეოდოსის დროს აღმოჩნდნენ, მრავალნი მწვალებელნი; მწვალებელნი ამტკიცებდნენ, რომ მკვდრეთით აღდგომა არ არისო. ერთი დასი ამბობდა, რომ „როცა კაცი მოკვდება, სულიც მასთანვე კვდება და სამუდამოდ ჰქრებაო“; ხოლო მეორე რიგი ქადაგებდა, «სიკვდილის შემდეგ სული რჩება და შესაფერად დაჯილდოვდება, ან დაისჯება, ხოლო სხეული-კი მტვრად იქცევა და იმას ათისა და ათი ათასის წლის შემდეგ რაღა გააცოცხლებს და აღადგენსო». ის-კი ავიწყდებოდათ, რომ ღმერთი ყოვლის შემძლებელია და პირველად მიწისა და მტვრისაგან შექმნა ადამიანი. და რაღა მარტო ეს, განა თვით იესო ქრისტემ არა ბრძანა, რომ მკვდართა ისმინონ ხმა ძისა ღმერთისა, ისმინონ და განცოცხლდენო. თუ-კი სახარება სწამდათ, მკვდრეთით აღდგომის უარ ყოფა როგორღა შეიძლებოდა?

მწვალებლებს დიდს წინააღმდეგობას უწევდნენ ჭეშმარიტნი მოძღვარნი და ნამდვილის საბუთებით უმტკიცებდნენ, რომ თქვენი მოძღვრება ყალბი და სიცრუეაო, მაგრამ იმათმა უკეთმართმა ქადაგებამ მაინც დიდი არევ-დარევა მოახდინა ხალხში, რის გამოც ძალიან შესწუხდა მეფეცა და ხალხიც და ყველანი ღმერთს ეხვეწებოდნენ და სთხოვდნენ ამ საქმეში დახმარებას. ღმერთმაც აღარ დააყოვნა და მათი სიმართლე მალე დაამტკიცა, და აი როგორ:

იმ ადგილის პატრონმა, სადაც ღვთისაგან დაძინებულნი შვიდნი ყრმანი იყვნენ, მოიწადინა ცხვრის ფარეხის აშენება. ამ კაცს ადოლია ერქვა. ადოლიას წინადვე ენახა ეს ქვით ამოშენებული კლდე და ეფიქრა ბუნებით ყოფილა ასეო. როცა შენობისათვის ქვა დასჭირდა, მონებს უბრძანა, ამა.. და-ამ ალაგას მიდით და გამოსთხარეთ ქვაო. მონებმა გამოანგრიეს კლდე და სახლში დაბრუნდნენ.

ამ დროს მაცხოვარმა, როგორც ოთხის დღის მკვდარი ლაზარე აღადგინა, ისე ეს რამდენსამე წლის მიძინებული ყრმანიც აღადგინა. ყრმები წამოდგნენ და ეგონათ, წუხელ დაძინებულებს ეხლა გამოგვეღვიძაო; ილოცეს ჩვეულებისამებრ, ერთმანეთს სი-

ყვარულით ეამბორნენ და ისევ იმის ფიქრში გაერთვნენ, თუ რა საშინლად იტანჯებიან ქრისტიანები და რა სასჯელი მოგველის თვით ჩვენცა. ბოლოს იამბელიქეს უთხრეს:

—იამბელიქ, ერთი კიდევ გვითხარი, რა ნახე და რა გაიგონე გუშინ ქალაქშიო?

—აკი გითხარითო, უპასუხა იამბელიქემ, რომ მეფეს უბრძანებია შეიკრიბნენ ქალაქის მცხოვრებნი კერპის თაყვანის-საცემლად და ჩვენდა საძებრადაც გაუგზავნია კაცებიო.

ამ დროს წამოდგა მაქსიმიანე და თავისს ამხანაგებს უთხრა:

—ძმებო, ნულარ ვყოვნით, გავიდეთ აქედგან და წარვსდგეთ დეკეოზ მეფესთან. ნუ შეუშინდებით იმის რისხვას; ღვთის გულისათვის ყოველ გვარს ტანჯვა-წამებას სიხარულით მივეგებნეთ; გაუძლოთ ამ წამიერ სასჯელს, თუ გვინდა, რომ საუკუნო ბედნიერებას და სიხარულს ველირსნეთ. ძმაო იამბელიქე, წადი შენებურათ ქალაქში და იყიდე საზრდო. საზრდო ძალას და მხნეობას მოგვიმატებს და უფრო ადვილად ავიტანთ მეფის სასჯელს. ბარემ ისიც შეიტყვე, მეფეს რა ბრძანება გაუცია და რას ამბობს ჩვენს შესახებ.

მეორე დღეს, დილა ადრიანად, იამბელიქე გაემგზავრა ქალაქისაკენ, მაგრამ როცა მღვიმედგან თავი გამოჰყო და კარებთან მოგროვილი ქვები დაინახა, ძალიან გაუკვირდა.

—ეს ქვები საიდგან არისო, ეკითხებოდა თავის თავს იამბელიქე; გუშინ არ იყო და დღეს საიდგან გაჩნდაო?

ძალიან შეეშინდა, მაგრამ წასვლა მაინც არ დაიშალა, თუმცა ისე თამამად-კი ველარ მიდიოდა, როგორც წინედ. შევიდა ქალაქში და აქ რალა ნახა? ნახა, რომ ყველაფერი გამოცვლილიყო: სახლი სახლს არა ჰგავდა და კაცი კაცს; ქალაქში მრავალი ეკკლესია იყო აგებული და ხალხი ქრისტეს სახელს უშიშრად ახსენებდა.

—რა ვქნა, სიზმარია ესა, თუ ცხადი, გაოცებით ამბობდა იამბელიქე; გუშინ ქრისტეს სახელის ხსენებაც ვერავის გაებედნა და დღეს რა ამბავია, რომ ასე სახალხოდ გაიძახიან. გუშინ ვისაც ჯვარი ქონდა, მალავდა, არავინ ნახოსო, და დღეს ეკკლესიებიც-კი აუგიათ. არა, უთუოდ სიზმარია ყველა ეს, ან გზას თუ ავცდი და სხვა ქალაქში შევედიო.

შემდეგ ქალაქის სახელი იკითხა და უთხრეს, ეს ქალაქი ეფესოაო, მაგრამ იამბელიქეს მაინც არა სჯეროდა და კიდევ იმას ამბობდა, რომ უთუოდ გზა დამებნა და სხვა ქალაქში შევედიო.

—პურს მაინც ვიყიდი და უკანვე დავბრუნდებიო, სთქვა იამბელიქემ და მეპურესთან მივიდა, გამოართვა პური, მისცა ფული და ნაშალი მოსთხოვა. მეპურემ ფული ვერ იცნო და სხვას აჩვენა, სხვამ კიდევ სხვას და ამ გვარად ფულმა რამდენისამე კაცის ხელში გამოიარა. ყველას ეოცა ფულის სიძველე და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, უთუოდ ძველი ფულის საუნჯე უპოვია სადმეო. იამბელიქეს-კი ასე ეგონა, მიცნეს და ერთმანეთს იმას ეუბნებიან, დავიჭიროთ და დეკეოზ მეფესთან წავიყვანოთო.

—სულ წაიღეთ ეგ ფული, არ მინდა არაფერიო, წამოიძახა შეშინებულმა იამბელიქემ.

—არა, ჯერ გვითხარი, სად იპოვნე ფულის საუნჯე და ნაპოვნი ჩვენც გაგვინაწილე, თუ არა და ეხლავე დაგიჭერთ და მსაჯულთან წარგადგენთო.

იამბელიქემ არ იცოდა, რა ეპასუხნა და გაჩუმებული იდგა.

—სთქვი, სთქვიო, თორემ ძალათ გათქმევინებთო, გაიძახოდა ხალხი, იამბელიქე ხმას არ იღებდა.

—მაშ რაკი არას ამბობს, შეეიპყრათო, სთქვეს ვაჭრებმა; შემოხსნეს იამბელიქეს სარტყელი და ყელზე მოაბეს.

—ქურდი დაიჭირეს, ქურდიო, გაისმა ხალხში ხმა და იამბელიქეს სანახავად ბრავალი ხალხი შეიკრიბა. ეს ამბავი ქალაქის უფროსსაც შეატყობინეს, რომელიც ამ დროს სტეფანე ეპისკოპოსთან იყო და ესაუბრებოდა. ქალაქის უფროსმა ბრძანა: მოიყვანეთ ის კაცი და ძველი ფულიც თან მოიტანეთო. წაიყვანეს იამბელიქე ქალაქის უფროსთან, იამბელიქეს-კი ესე ეგონა, დეკეოზ მეფესთან მივყევარო და გზაში აქეთ-იქით იცქირებოდა, იქნება ნათესავი, ან ნაცნობი ვინმე დავინახოო. როცა ქალაქის უფროსთან მიიყვანეს, ყველაზედ პირველად ძველს ფულს მიაქციეს ყურადღება, გაიკვირვეს და ჰკითხეს. სად გიპოვნია ძველი საუნჯე და დაგიმალავსო?

—არაფერი საუნჯე არ მიპოვნია და არც დამიმალავსო, უპასუხა იამბელიქემ. ეგ ფული მშობლებმა მომცეს და ისეთივე ფულია, როგორსაც მთელი ქალაქი ხმაროობსო.

—რომელი ქალაქის მცხოვრებელი ან ვისი შვილი ხარო, ჰკითხა ქალაქის უფროსმა.

—ქალაქ ეფესოს მცხოვრებელი ვარო, უპასუხა იამბელიქემ და თან თავისი დედ-მამა, ძმები და ნათესავები დაუსახელა.

—რას მიედებ-მოედებიო, შეძახა ქალაქის უფროსმა, იმისთანა სახელებს ამბობ, რომელიც არავის გაგვიგონიაო.

იამბელიქე გაჩუმდა, თავი ძირს ჩაჰკიდა და არ იცოდა, რა ეთქვა.

—უთუოდ ჭკუა შეშლილიაო, ასტყდა ხალხში ლაპარაკი.

—არაო, წამოიძახა ერთმა, მხოლოდ ძალად ისულელებს თავს, რომ პასუხის-გებას დაეღწიოსო.

—რასაც გეკითხებით, მართალი გვიპასუხე, თორემ ციხეში ჩაგსვამთ და ძალად გათქმევინებთო, უთხრა ქალაქის უფროსმა. ფულზე ძველი მეფე დეკეოზია გამოხატული და ძველის დროისაა, შენ-კი გაიძახი, ისეთივე ფულია, როგორსაც დღეს მთელი ქალაქი ხმარობსო.

იამბელიქე შიშმა და გამოურკვევლობამ ისე შეიპყრო, რომ ველარც-კი გაიგო ქალაქის უფროსის სიტყვები, დაიჩოქა და სთქვა:

—ბატონებო! მითხარით, ამ ქალაქის მეფე დეკეოზი ცოცხალია თუ არა, და მაშინ ყველაფერს გეტყვით.

—ეგ მეფე ძველად ყოფილა და ეხლა-კი მეფე თეოდოსიაო, უპასუხა ეპისკოპოსმა.

—მაშ ეხლა აღარას დავმალავ, უთხრა იამბელიქემ. მე და ჩემი ექვსი ამხანაგი ოქლონის მთის გამოქვაბულში ვართ შეფარებული. იქ მეფე დეკეოზს დავემალეთ. გუშინ ვიყავი ეფესოში და მითხრეს, რომ დეკეოზ მეფე დაბრუნდა მგზავრობიდგანაო. ეხლა ვერ გამიგია, ეს ქალაქი ეფესოა თუ სხვა.

ეპისკოპოსს გაუკვირდა და ქალაქის უფროსს სთხოვა, წავიდეთ და ვნახოთ, რა ამბავია, იქნება ღმერთმა სასწაული რამ გამოაჩინაო. იამბელიქე წინ გაიძღოლეს და ყველანი გამოქვაბულის სანახავად წავიდნენ. გზაში ამათ სხვა ხალხიც შეუერთდა. პირველად იამბელიქე შევიდა მღვიმეში, იმას ეპისკოპოსი და სხვანი შეჰყვნენ. ეპისკოპოსი გაფაციცებით ათვალიერებდა ყველაფერს. იქვე ნახა ზემოხსენებული სპილენძის კიდობანი, მღვიმის კარებში ჩაყოლებული, მაშინვე გაახსნევინა და ამოიკითხა ტყვიის ფიცარზე წარწერილი ყრმათა ღვაწლი და წამება; ყველანი ადიდებდნენ ღმერთსა. შემდეგ შევიდნენ ღვიმეში და ნახეს უმანკოებითა და ღვთის მადლით სახე გაბრწყინვალებულნი ყრმანი. ყველამ მოწიწებით მუხლი მოიყარა და ღმერთი ადიდა. წმ. ყრმებმა დაწვრილებით უამბეს თავიანთი თავ-გადასავალი.

ეპისკოპოსმა და ქალაქის უფროსმა ეს ამბავი მეფეს შეატყობინეს და სთხოვეს, გამოგზავნეთ თქვენი კარის-კაცნი, რომ ნახონ, რა სასწაული გამოაჩინა ღმერთმა და როგორ ნათლად დაგვანახვა მკვდართა აღდგომაო. გახარებული მეფე თვითონვე გაეშურა ამ სასწაულის სანახავად. ნახა წმ. ყრმანი და ეამბორა. მეფე მეტის სიხარულისაგან ცრემლს ველარ იმაგრებდა და ღმერთს მადლობასა სწირავდა. მეფე რამდენსამე დღეს დარჩა იმათთან და საუკუნო ცხოვრების შესახებ ესაუბრებოდა. დასასრულ, ამ ტკბილსა და სასიამოვნო ბაასში რომ იყვნენ, წმ. ყრმანი მიწაზედ წყნარად დაეშვნენ და სამუდამოდ მიიცვალნენ. მიცვალებულთა წმ. გვამს ყველა ეამბორა და მოწიწებით თაყვანი-სცა.

თეოდოს მეფემ გააკეთებინა შვიდი ოქროს კუბო და უნდოდა ამ კუბოში იმათი წმიდა გვამები ჩაესვენებინა, მაგრამ მეფეს იმავე ღამეს გამოეცხადნენ ყრმანი და აცნობეს: ხელს ნუ გვახლებთ და ისევ დედამიწაზე ვიყვნეთ დასვენებულნიო. მთელმა ეფესოს ქალაქმა დიდის ამბით გარდაიხადა ამ სასწაულის გამოჩენა, მრავალი სამოწყალო დაარიგეს და მრავალი პატიმარი განათავისუფლეს. საერთო სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა და ყველა ღმერთს ადიდებდა.

ეკკლესია ამ წმინდანებს იხსენიებს აგვისტოს ოთხს.

სიტყვა,

თქმული მდგდლის სამსონ ჩხიბაიასაგან პირველ გურძემის მთავარ-ანგელოზის ეკეკლესიაშიდ კეთილ-შობილის გლახუა ახვლედიანის დასაფლავების დროს

პირველად ეძიებდე სასუფეველსა მღვთისასა
და სიმართლესა მისსა (მატთე ვ. ლგ.)

სჯობს სახელი კეთილი, ვიდრე სიმდიდრე
მრავალი.

პატიოსანნო მსმენელნო, შეკრებილნო და ტრემლთა ნაკადულთა დამფრქვევნო განსვენებულის კუბოზედ! დღენი ჩვენი ჭქრება, ვითა აჩრდილი, ხოლო თქვენი კეთილნი, ქმნილნი კაცთაგან, სტოვებენ კეთილს-კვალს და რჩებიან სამახსოვროდ მომავალთა შთამომავლობათა. ამისათვის არ შემიძლიან ორიოდე სიტყვით არ ადვნიშნო ჩვენს წინ მდებარე მიცვალებულის კეთილ-შობილის გლახუა ახვლედიანის მტკიცე სარწმუნოება და მისი მრავალი კეთილი-თვისებანი და საქმენი. მართალია, იგი დღეს ხორციელად საუკუნოდ გვშორდება და გვეთხოვება, გარნა მისნი კეთილი მიდრეკილებანი, ღვაწლი და შრომა, ნიადაგ დარჩებიან მისთა ჭირის-უფალთა და სხვათა მისთა მოძმე-მონათესავეთა და მეზობელთა და ყოველთა მისთა მცნობთა გულშიდ სახსოვრად. განსვენებულს თუმცა სწავლა-განათლება არ ჭქონია მიღებული, მაგრამ ზნეობრივის მხრით ბევრს მის ტოლ-ამხანაგთა შორის მაღლა იდგა. განსვენებულს უყვარდა არამც-თუ თავისი მოკეთე და ძვირფასი ოჯახი, არამედ თვით მტერსაც და მოძულესაც ხელს უწყობდა წმიდა სახარებისამებრ; შეგნებული ქონდა-რა ჭეშმარიტება და მცნება მღვთისა, მეტად უყვარდა მქვრივ-ობოლნი და გაჭირვებულნი და მუდამ იმას სცდილობდა, რომ მათთვის შემწეობა აღმოეჩინა, მას ჩანერგული ჭქონდა გულში სიყვარული მოუვსისა და წმიდა ეკეკლესიისა; რაც უნდა რომ სამწუხარო შემთხვევოდა მას, მისს სახეზედ ოდნავ მოწყენილობასაც კი ვერ შეამჩნევდა კაცი; იგი იყო კმაყოფილი თვისი ხვედრისა და სწარავდა უფალს დიდებასა და მადლობას. კაცს არ ახსოვს, რომ განსვენებულს რაიმე უსიამოვნება და უკმაყოფილება ქონოდეს ვინმესთან, იგი ამხიარულებდა უველას ცუდი სიტყვა-ბასუხის თქმისათვის, იგი იყო ნამდვილი ჭეშმარიტი ქრისტიანე და მღვთის მოსავი: ნიადაგ ზრუნავდა სიმართლისათვის; იგი მუდამ იმაზე ფიქრობდა, თუ რა შემწეობა აღმოეჩინა მის სამრევლოში დაარსებულის სკოლისა და ეკეკლესიისათვის. განსვენებულს მიუძღვის უხვი შეწირულება წმიდა ეკეკლესიისადმი. სანამ მას არ უმტეუნა სალმა ჯანმა, იგი არ არჩევდა ავ-კარგ ტარიხს, არც ეკეკლესიის სიშორეს ერიდებოდა. ქრისტეს სიყვარულით ადსავსე არამც-თუ ამა ახლად აშენებულ ეკეკლესიაშიდ, არამედ დაშორებულ მეორე ციცაბო გორაზედ აღშენებულ ეკეკლესიაშიდაც-კი მწუხრ-ცისკრის და სალმრთო დიტურგიის მოსასმენლად ყოველ კვირა-უქმე დღეებში დადიოდა და მუდამ იღებდა ევლოგიას და თითქო სასულიერო უწყებაში აღზრდილი ყოფილიყოს, იგი პირ-ნათლად დამრიგე და მოუბარი იყო განურჩევლად უველა წოდების პირთა. იგი მზად იყო ყოველ გვარ ეკეკლესიის ზრუნვა-შეწირულებაზე, საქველ-მოქმედო საქმეზე და ქრისტეს სჯულის აღსრულებაზე. იგი მადლ ამ სიტყვებს იმეორებდა: „ძმაო! ცხოვრება კაცთა ამაო ამაოთა ზედაა, მაშ რად გვინდა ჩვენ აქაური სიმდიდრე, სახლი გინდა სხვა ქონება, ესენი ჩვენ დროებით გვაბარია, უკეთესია გავმდიდრდეთ სულითა, უკეთესია მივსცეთ ჩვენთა სულთა საზრდო,“ და ამ აზრებით გატაცებული მუდამ წმიდა ეკეკლესიის გამშვენებაზე და შეწირულებაზე ზრუნავდა; შეძლებაც საკმაოდ ხელს უწყობდა. ხოლო როდესაც მას უსუსტა დონემ და ჯან-მრთელობამ, მაშინ ერთ ადგილზედ მოოფი უფრო მეტად მადლობას სწირავდა ყოველის შემოქმედს, მად-მადლ იბარებდა მის მოძღვარს თავის სასახლეშიდ, ალოცებდა მწუხრს, ცისკარს და ყოველის იმედ-სასოებით ადვსილი ისმენდა ლოცვებს. შემდგომ ლოცვის გათავებისა ეუბნებოდა მოძღვარს „აბა მამია (ასე იცოდა განსვენებულმა) მოგეხმარე, შეავედრე ჩემი უღირსი თავი უფალს, რათა მედირსოს სასუფეველი ცათაშინა“. ამ დრმა მოხუცებულების დროსაც-კი ყოველ წლივ იღებდა წმიდა საიდუმლოს და არ იკლებდა აუცილებელ ქრისტიანულ მოგალეობას. კაცთა დახმარებით იგი ცხენზედ მჯდომარე ამოვიდოდა ეკეკლესიაშიდ და იმ ზომ სასოებით ისმენდა წირვას, რომ მას სრულებით ავიწყდებოდა მისი ჯან-მრთელობის მოკლება. გარნა მძიმე ავად-მყოფობამ დასძლია და ულმობელმა სიკვდილმა გამოასალმა იგი თავისს საყვარელ ცოლ-შვილს.

ეხლა მივექცევი მისგან დაობლებულ ოჯახისა და დღეს აქ მყოფ საზოგადოებისადმი, და ვთხოვ უველას, რომ ყოველ-გვარი კეთილ მოქმედება, ღვაწლი და შრომა დაუვიწყარის განსვენებულისა იქმნეს ჩვენს გულშიდ მარად აღუხოცელი და შევევედროთ უზენაესსა არსებას, რომ მან ესეთი კეთილ-ზნეობით აღვსილი ადამიანი კვლავაც მოგვივლინოს ჩვენ. დასასრულ შევევედროთ უფალს, რათა ჩვენ წინაშე მდებარე განსვენებულს კეთილ-შობილს გლახუა ახვლედიანს დაუმკვიდროს სასუფეველი წიადთა შინა აბრაამისა. ამინ.

სასელმძღვანელო, საფუძვლიანი, საჭირო და სასარგებლო ცნობათა, განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. 25 წლის მსახურებისათვის სახალხო სკოლაში საღმრთო სჯულის მასწავლებლად როცა აღნიშნული პირი მარტო უკანასკნელი 3 წელიწადი მსახურებს მღვდლად, მიეცემა თუ არა მას ანნას ორდენი მესამე ხარისხისა?

მიგება. მიეცემა ანნას მესამე ხარისხის ორდენი, რადგან არა თუ მღვდელს, არამედ ერის კაცსაც კი ეძლევა ეს ორდენი სასულიერო წოდებისას 25 წლის საღმრთო სჯულის მასწავლებლობისათვის.

კითხვა. 24 წლის მსახურების შემდეგ რომ მღვდელი გამოვიდეს შტატ გარეთ ავადმყოფობის მიზეზისა გამო, ერგება თუ არა მას რაიმე შემწეობა?

მიგება. თუ ამისთანა შტატ გარეთ გასულ მღვდელს არავითარი შემწეობა არ ეძლევა ადგილობითი ეპარქიის სამზრუნველოდან, მაშინ ეპარქიის მღვდელ-მთავრის წარდგენილობით უწმიდესი სინოდი უნიშნავს მას შემწეობას იმ თანხიდან, რომელიც იმექონება უწ. სინოდში მისაცემელად იმისთანა სამღვდელო პირთათვის, რომელთაც პენსია არ დაუმსახურებიათ.

კითხვა. ორს და სამ შტატიან კრებულში, სადაც შტატით ერთი დეკანოზია, ერგება თუ არა დეკანოზს მეტი წილი სხვა მღვდლებზე, რომელნიც არა თუ დეკანოზთან ერთად, არამედ იმაზე მეტსაც მსახურებენ. ამასთან ამავე კრებულიდან ერგება თუ არა დეკანოზს ბლაღოჩინის სასარგებლოდ დადებული გარდასახადი, მაშინ, როცა თვით ეს დეკანოზია ბლაღოჩინად?

მიგება. მეტი წილი საკრებულო ტაძრის დეკანოზს ერგება თანახმად უწ. სინოდის განჩინებისა 24 დეკემბრიდან 1887 წ. (იხილე საეკ. უწყება 1888 წ. № 2. სასყიდელი კი ბლაღოჩინობისავის, რომელიც დადებულია ოლქის სამღვდელოების კრებისაგან ან თვით ეპარქიის მღვდელმთავრისაგან სასარგებლოდ ბლაღოჩინისა, რასაკვირველია საფუძვლიანია გარდიხადოს კრებულმა.

კითხვა. როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, რომ კანონიერად ჩაიბაროს საეკლესიო მიწა, რომელიც უხსოვარი დროიდან ეკლესიის ყოფილა და კიდეც ეკლესიაა უსარგებლებია, მაგრამ ამ ადგილის არც გეგმა იმექონება და არც არსად არ ინიშნება ეკლესიისად?

მიგება. ამისთანა შემთხვევაში მღვდელი უნდა მიიქცეს ეპარქიის მღვდელ-მთავართან და მისგან მიიღოს ვექილობა, შემდეგ ითხოვოს ოლქის სასამართლოში, რომ აღნიშნული ადგილები იცნონ ეკლესიისად და მოახდინონ კანონიერი განკარგულება ამ ადგილების კანონიერად ჩაბარებისათვის დიდი ხნის მფლობელობისა გამო.

კითხვა. რომელი რიცხვით უნდა იყოს დაწერილი ობისკის წიგნი: იმ რიცხვით, რომელიც თავში დაესვა დაწერის დროს, თუ როცა მოაწერა ხელი სასიძომ და სასძლომ?

მიგება. რასაკვირველია, იმ რიცხვით, რომელიც თავშია დასმული ობისკის წიგნში.

კითხვა. შეუძლია მღვდელმა მიიღოს ჯილდოდ მესამე ხარისხის ანნას ორდენი 26 წლის სამსახურისთვის მასწავლებლად სახალხო, სამრევლო და საერო სკოლებში, რომლის განწესებაზე მასწავლებლად არა ვითარი ვანკარგულება არ არის, თუმცა კრილოვის უწყებაში კი ყოველ წელს ინიშნება მისი სამსახური სკოლებში?

მიგება. კანონი ამ ორდენებით დაჯილდოებისა იმათ აკუთვნის ამ ჯილდოს 25 წლის სამსახურისთვის, რომელთაც უსწავლებიათ სასარგებლოდ და არა იმათ, რომელნიც მარტო ოფიციალურად ყოფილან დანიშნულნი, მაგრამ სარგებლობა კი არა მოუტანიათ-რა შესამჩნევი.

კითხვა. მოსანათლავი ბავშვი ზეთის ცხების დროს მიმრქმელს უნდა ეკაოს ხელში, თუ სხვა ვინმეს?

მიგება. ერთი და იგივეა, ვისაც უნდა ეჭიროს

კითხვა. მედავითნის სამსახურს აქვს თუ არა ვადა და

ან რამდენ ხანს უნდა იმსახურობს, რომ პენსია ან შემწეობა დაენიშნოს?

მიგება. 50 წლის სამსახურისათვის ყელის მედალი მიეცემა და 25 წ. სამსახურისათვის ერთ დროებითი შემწეობა და პენსია კი არასოდეს.

კითხვა. დიდმარხვის შვიდეულებში მაზიარებელთ საჩუქარი იციან და მედავითნეს აქვს თუ არა ამ საჩუქარში ნაწილი?

მიგება. მედავითნეს მღვდლის ყოველს შემოსავალში აქვს წილი.

კითხვა. მეტრიკული ან აღსარებითი სიის ამოწერილობისათვის რაოდენიმე სასყიდელი ეძლევა მღვდელს. მედავითნეს აქვს თუ არა ამ საჩუქარში ნაწილი?

მიგება. აქვს წილი, თუ ყოველივე საქმეს მედავითნე აწარმოებს და ამ ამოწერილობათაც ის ადგენს.

კითხვა. ერთს ეკკლესიაზე მსახურებს ერთი მღვდელი და ორი მედავითნე. ერთი მედავითნე აწარმოებს ეკკლესიის საბუთებს. ამ მედავითნეს მეორე მედავითნედგან ერგება რამე საშრომი თუ არა, როდესაც მეორე ამხანაგი სხვა სამსახურს ასრულებს?

მიგება. არ ერგება.

კითხვა. ქალალდების ტარება მედავითნეთა მოვალეობა არის თუ არა?

მიგება. მათი ვალია, ვიდრემდის ადგილობითი მღვდელ-მთავარი არ გარდაუწყვეტს დანიშნულ ჯამაგირს ბლალოჩინებს.

კითხვა. მღვდელს, რომელიც თავის მედავითნეს არას დროს თავის წილს ნებით არ აძლევს, რა უნდა ეყოს?

მიგება. უნდა უჩივლონ მთავრობასთან.

შეწირულებანი.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი ქურნალის „მწყემსი"-ს საშვალებით მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე, ისე მთელმა ჩემმა მრევლმა ქვემორე მოხსენებულ პირთ, რომლებმაც შ მოსწირეს სოფ. ხრიალეთის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიას ქვემორე მოხსენებული ფულათ, თუ ნივთათ: ბლალოჩინმა მღვდელმა კოსტანტინე კანდელაკმა ერთი ხელი მღვდლის შესამოსელი, ღირებული 25 მან., სუფსის ეკკლესიის მღვდელმა ბათლომე ჩხარტიშვილმა ერთი ხელი დაფარნა, ღირებული 4 მან., სოფლის ხრიალეთის მანდილოსნებმა ბარძიმ-ფეშხუმის სასყიდლად 50 მანეთი, რუსუდან გოგოძის ასულმა 15 მან., რომლითაც მოჭედილ იქმნა სახარება, ვახუშტი დავითის ძ ჩხაიძემ სადღესასწაულო წიგნი, ღირებული 14 მან., ალექსანდრე ხომერიკმა ერთი ქვნი, ღირებული 2 მან. და თეოდორე ზაპერტოვმა თანაარსისთვის შანდალი, ღირებული 2 მან., ზემორე მოხსენებულ პირთ მუდამ ჩემგან მოხსენება ექნებათ.

ზედ. მთ. ანგ. ეკ. მღ. რომანოზ მეგრელიძე.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: რა ღუპავს ჩვენს ხალხს ეკონომიურად?—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების საგანგებო კრება ქ. ქუთაისში მაისის 31 და ივნისის 1 და 2 რიცხვებში.—ჩემი თავ-გადასავალი.—მწარე ფიქრები.—„ხუცური" თუ „მხედრული?"—ამბროლაურის წიგნთ-საცავი.—„მწყემსი"-ს კორესპონდენციები.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და **მეცნიერება ქრისტიანოზრივ სარწმუნ.** და **კეთილ-ზნეობაზე**: ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა.—სიტყვა, თქმული მღ. ს. ჩაჩიბაიასაგან გლახუა ახვლედიანის დასაფლავების დროს.

საჭირო და **სასარგებლო** ცნობათა განყოფილება: საეკვო კითხვების განმარტება.—შეწირულებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 25 августа *1899 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

Типог. редакціи журн. „**Пастырь**" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хапановыхъ, на Нѣмецкой *ул.*